კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნინო ჩირგაძე

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი და მისი პოლიტიკური მოგვარების პერსპექტივები

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

კსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებს შორის თავისი ხანგრძლივობითა და მასშტაბურობით გამორჩეულია პალესტინა-ისრაელს შორის კონფლიქტი, რომელიც უკვე რამოდენიმე ათწლეულია მიმდინარეობს და რომლის დარეგულირების პერსპექტივაც ნაკლებად ჩნდება. აღნიშნული კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ფარგლებს ბევრად სცდება. არა მარტო ბოლო პერიოდიდან, არამედ პალესტინა - ისრაელს შორის კონფლიქტის დასაწყისიდან, მან გლობალური ხასიათი მიიღო და აქედან გამომდინარე, მისი პოლიტიკური გადაჭრის გზებზეც ზრუნვა რეგიონს გარედან აქტუალურ საკითხად იქცა.

აღსანიშნავია, რომ კონფლიქტი პალესტინელებსა და ებრაელებს შორის მხოლოდ ტერიტორიულ ხასიათს არ ატარებს. ამ კონფლიქტს რელიგიური ხასიათიც თან გასდევს, რაც ხშირ შემთხვევაში პალესტინა-ისრაელს შორის ურთიერთობის უფრო მეტად დაძაბვისათვისაც გამოიყენება სამწუხაროდ. რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარე, პალესტინა-ისრაელის კონფლიქტი ხშირად ფართოვდება და მთლიანად ისლამურ სამყაროსაც მოიცავს, რაც მისი მოგვარების პერსპექტივას უფრო მეტად ართულებს.

Annotation

The Israeli-Palestinian conflict and the prospects of its political settlement

Nino Chirgadze

The conflict between Palestine and Israel has been distinguished between its Middle East conflicts and its long-term conflict, which has been going on for several decades, and the prospect of regulating it is less likely. This conflict is much beyond the boundaries of the Middle East. Not only recently, but from the beginning of the conflict between Palestine and Israel, he has become a global character and hence taking care of his political solutions has become a topical issue from the outside.

It is noteworthy that the conflict between Palestinians and Jews is not only territorial. This conflict is also accompanied by a religious character, which is often used to push off the Palestinian-Israel relationship. Due to the religious factor, the Palestinian-Israeli conflict is often widespread and involves the entire Islamic world, which makes the prospect of its solution more difficult.

შინაარსი

შესავალი_____6

თავი I. ისრაელის სახელმწიფოს შექმნის წანამძღვრები და დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები რეგიონში.

1.1 ისრაელის სახელმწიფოს შექმნის წინარე პრეიოდი._____11

1.2 „სიონში“ დაბრუნების იდეა.“პოლიტიკური სიონიზმი“ და „პალესტინურ-არაბული“ ნაციონალიზმი._____16

1.3 პალესტინა-ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორია._____23

თავი II. ისრაელის სახელმწიფოს შექმნა და კონფლიქტის დასაწყისი არაბულ ქვეყნებთან.

2.1პალესტინის გაყოფის გეგმები _____ 31

2.2 .პალესტინის ტერიტორიის ფაქტობრივი გაყოფა და მისი შედეგები_____35

2.3 ისრაელ არაბული ქვეყნების ომები. ტერიტორიული ფაქტორი , როგორც კონფლიქტის დასაწყისის მნიშვნელოვანი პრობლემა_____38

თავი III. ისრაელ პალესტინის კონფლიქტის მოგვარების მცდელობები და შესაძლო პერსპექტივები.

&3.1 პირველი ინთიფადა და ისრაელსა და პალესინას შორის მშვიდობის დამყარების ცდები. _____52

3.2 აშშ-ს პოზიცია ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო შეთანხმებებზე ცივი ომის დასრულები შემდგომ ._____ 59

3.3 პალესტინური ინთიფადა და ისრაელსა და პალესტინას შორის პრობლემების აღმოფხვრისაკენ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯები._____63

3.4 აშშ და პალესტინასა და ისრაელს შორის კონფლიქტის მოგვარების შემდგომი გაღრმავება _____68

დასკვნა_____72

გამოყენებული ლიტერატურა_____76

შესავალი

თემის აქტუალობა:

ახლო აღმოსავლეთში ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტი უკვე რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობს. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოში ერთ-ერთი ცხელი წერტილია და კონფლიქტების მხრივ ეს რეგიონი გამორჩეულია. ყველაზე აქტუალური ამ კონფლიქტებიდან ისრაელსა და პალესტინას შორის არსებული უთანხმოება არის.

აღნიშნული პრობლემა აქტუალობას არ კარგავს უკვე დიდი ხანია. ამ კონფლიქტის მოგვარების არაერთი მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა. აღნიშნული საკითხი იმდენად მწვავეა, რომ ის რეგიონის საზღვრებს ბევრად გასცდა. ისრაელ-პალესტინის საკითხის მოგვარების საქმეში არაერთი ქვეყანა ჩაერთო და ახლაც არის ჩართული, როგორც რეგიონიდან ისე რეგიონის გარედანაც, მაგრამ სამწუხაროდ უშედეგოდ. ამ კონფლიქტის მიმდინარეობისას გაძლიერდა ტერორიზმის საფრთხეც, რაც კიდევ უფრო ართულებს რეგიონში ისედაც დაძაბულ ვითარებას.

აღნიშნული თემის აქტუალობა იქედან გამომდინარეობს, რომ ამ კონფლიქტმა ბოლო პერიოდში კიდევ უფრო გაართულა მისი მოგვარების პერსპექტივები.

საკვლევი კითხვები :

- რაში მდგომარეობს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის წარმოშობის არსი და სიღრმეები?
- რამდენად ცდება ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი რეგიონის ფარგლებს და ახდენს თუ არა გავლენას მსოფლიო წესრიგზე?
- რა როლს ასრუულებს პალესტინის კონფლიქტში გარე ძალების ჩარევა?
- უახლოეს პერიოდში რამდენად პერსპექტიულია მათ შორის არსებული პრობლემების გეოპოლიტიკური მოგვარება?

თემის ჰიპოთეზა :

ისრაელისა და პალესტინის კონფლიქტი უდაოდ ეთნო-ტერიტორიულ ხასიათს ატარებს. ეს კონფლიქტი არის განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების,

ებრაელების და პალესტინელი არაბების, დაპირისპირება ერთი და იგივე ტერიტორიის (სამანდატო პალესტინის) ფლობის საკითხზე. აღნიშნული კონფლიქტის მოგვარების მექანიზმის პოვნა, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

სამაგისტრო თემის მიზნები და ამოცანები:

სამაგისტრო თემის მიზანია, შეგვესწავლა და გაგვეშუქებინა ისრაელსა და პალესტინას შორის წარმოქმნილი კონფლიქტების მიზეზები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხე უამრავი ნაშრომი არის დაწერილი, ამ თემასთან დაკავშირებით შევეცადეთ სამაგისტრო ნაშრომში წინა პლანზე წამოგვეწია ბევრი ისეთი სიახლე, რასაც შესაძლოა გარკვეულ ეტაპზე ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ამავე დროს სხვადასხვა მასალაზე დაყრდნობით შევისწავლოთ და გავაანალიზეთ ბოლო პერიოდში პალესტინელებსა და ებრაელებს შორის კონფლიქტის გამწვავების მიზეზები. ამავე დროს ვცდილობთ ჩვენეული ხედვა წინა პლანზე წამოვწიოთ იმ ფაქტორებზე, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ამ კონფლიქტის მოგვარების შესაძლო პერსპექტივას. ამ თემაზე მუშაობა დიდ გამოცდილებას მოგვცემს მომავალში, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალობის მიმართულებით მომუშავეს, რათა ამ პრობლემით დაინტერესებულებმა შემდგომში უფრო სიღრმისეულად შევძლოთ მუშაობის გაგრძელება.

მეთოდოლოგია:

აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულია „უსაფრთხოების დილემა“, ნეორეალიზმისა და პოლიტიკური რეალიზმის სკოლის თეორიები, რომელიც საშუალებას გვაძლევს უკეთესად გავაანალიზოთ კონფლიქტის არსი და მისი მოგვარების პერსპექტივები.

კვლევის მეთოდები:

კვლევის დამუშავების დროს გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდები, მონაცემთა ანალიზი, ისტორიულ-აღწერილობითი, პოლიტიკის კვლევის ანალიზი, კონტენტ ანალიზი.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა:

შევეცადეთ შეგვექმნა აღნიშნულ ნაშრომზე აკადემიური ხასიათის ნაშრომი, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ნაშრომის პრაქტიკული მნიშნელობა ის არის, რომ ის გამოადგებათ ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს.

კვლევის შედეგების განხილვა:

ჩვენს მიერ წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს არამარტო ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებს, ასევე მისი მოგვარების შესაძლო პერსპექტივებს. აღნიშნული საკითხის წარმოქმნის მიზეზების კვლევა არ წარმოადგენს სირთულეს, იმასთან შედარებით, რაც ამ პრობლემის მოგვარების პერპექტივის დანახვაა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ამჟამად მსოფლიოში, კონკრეტულად კი, რეგიონში შექმნილი არამდგრადი ვითარება. მიუხედავად ამ სირთულეებისა შევეცადეთ ნაშრომში შეძლებისდაგვარად წარმოგვეჩინა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა.

პალესტინისა და ისრაელის და ასევე მათ შორის მიმდინარე კონფლიქტის შესახებ უკვე საკმაოდ ბევრი დაიწერა. ისე როგორც პოლიტიკოსები, ასევე მკვლევრებიც არიან დაინტერესებულნი ამ საკითხით. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით კვლევები არაერთ ენაზე ჩატარდა. კვლევები გაკეთდა ქართულ ენაზედაც, რადგანაც ქართველი მეცნიერებიც არიან დაინტერესებულნი ამ საკითხის კვლევით.

გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი, ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.- XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი, 2011. აღნიშნულ წიგნში წარმოდგენილი პალესტინისა და ისრაელის წინაისტორიიდან დაწყებული 2011 წლამდე პოლიტიკური მოვლენების თანამიმდევრული განხცილვა. მასში გაანალიზებულია პალესტინის სახელმწიფოს შექმნის შესახებ არსებული პრობლემები.

რ. გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი. თბილისი, 2013. ავტორი წარმოდგენილ მონოგრაფიაში აშუქებს პალესტინის გაყოფის გეგმებს და მისი ფაქტობრივი გაყოფის შედეგებს. და ასევე იმ მოვლენებს, რაც პალესტინის გაყოფის შემდეგ ხდება რეგიონში.

თ. ჯაფარიძე, დეკლარაცია პალესტინის დროებით თვითმმართველობის შეთანხმებათა პრინციპების შესახებ. „ქართული დიპლომატია“. (წლიწდეული). V, თბილისი, 1998. ამ სამეცნიერო ნაშრომში დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით გაშუქებულია პალესტინისა და ისრაელის პრობლემის მოგვარების მცდელობები და პალესტინის სახელმწიფოს შექმნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები.

Kumarasvamy, P. R. The A to Z pf the Arab-Israeli Conflict. The Scarecrow Press, Inc, 2009. ავტორი დაწვრილებით აღწერს არაბული ქვეყნებისა და ისრაელის დაპირისპირებებს, მათ შორის არსებულ საომარ ოპერაციებს და ამ ფონზე პალესტინის სახელმწიფოს შექმნის მცდელობებს.

ჰერცოგი ხაიმ, ისრაელ-არაბების ომები. თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი 2007. ავტორს დეტალურად აქვს განხილული ისრაელ-არაბების ომები, ნათლად აქვს წარმოდგენილი შეჯამებების სახით, თუ რა შედეგი გამოიღო ამ დაპირისპი რებებმა.

Chertolf, MJOrdechai S. Zionism: a Basic Reader, New York: Herzl Press, 1975. სიონიზმის წარმოშობა, მისი განვითარება და მიმდინარეობის როლი ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში სიღრმისეულად აქვს შესწავლილი ჩერტლოფს, რომელიც ჩვენს საკვლევ თემაზე მუშაობისას ძალიან დაგვეხმარა.

ეს არის ის მცირე ჩამონაალი წიგნებისა, რომლებიც ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ. ნაშრომის ბოლოს კი ბიბლიოგრაფიაში სრულად არის წარმოდგენილი გამოყენებული მასალების ნუსხა.

თავი I . ისრაელის სახელმწიფოს შექმნის წანამძღვრები და დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებები რეგიონში.

1.1 ისრაელის სახელმწიფოს შექმნის წინარე პერიოდი

ძველ ებრაელთა პირველი სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო ისრაელის სამეფო , რომელშიც დასავლეთ სემიტური მოდგმის ტომები, მათ შორის საკუთრივ ისრაელი , იუდეა, ბენიამინი, ზებულონი და სხვ.შედიოდნენ. სამეფო წარმოიშვა პალესტინაში (ქანაანში) დაახლ. ძვ.წ. XI ს.-ის მიწურულს, როდესაც ისრაელთა ტომებმა თითქმის მთლიანად დაიპყრეს ადგილობრივი ქანაანელები (ასევე დას. სემიტური წარმოშობის ტომები). ქანაანი მოიცავდა ტერიტორიას ხმელთაშუა ზღვიდან მდინარეების ორონტესის და იორდანეს ველებამდე, ტავრის მთიდან ღაზამდე. თორას თანახმად, ქანაანის მიწა ანუ ერეც-ისრაელი (ებრ.ისრაელის მიწა) იყო ღმერთის მიერ აღთქმული მიწა ისრაელის მოდგმისათვის. ძვ.წ.1025 წელს ისრაელის სამეფოს პირველი მეფე გახდა საული. მეფე დავითმა (ძვ.წ. 1003-970) აიღო იერუსალიმი, გამოაცხადა ის ისრაელისა და

იუდეას გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქად და იაჰვეს კულტი დაამყარა. მეფე სოლომონს (ძვ.წ. 970-931) მიეწერება ისრაელ-იუდეას ერთიანი სამეფოს აყვავება , იერუსალიმის (იგივე „ სოლომონის“) ტაძრის აგება. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ იფეთქა აჯანყებამ (დაახლ. ძვ.წ. 928), რასაც შედეგად მოჰყვა ისრაელ-იუდეას ერთიანი სახელმწიფოს გაყოფა (ძვ.წ. 930-920) ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ : სამხრეთი სამეფო - იუდეას სამეფო (ცენტრი იერუსალიმი) და ჩრდილოეთი სამეფო - საკუთრივ ისრაელის სამეფო (ცენტრი - ქ. სიქემი , ახლანდელი ნაბლუსი; მოგვიანებით დაარსდა ახალი სატახტო ქალაქი - სამარია).[1]

ძვ.წ. 722 წელს ასურელებმა დაიპყრეს ისრაელის სამეფო, განდევნეს ებრაელები და მათ ადგილას ასურეთის ქვეშევრდომნი (ბაბილონელები, არამეელები) ჩაასახლეს. ძვ.წ. 586 წელს ბაბილონელებმა დაიკავეს იუდეა, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი მეფე ნაბუქოდონოსორ II-მ გადაასახლა ბაბილონში, სადაც შეიქმნა პირველი ებრაული დიასპორა. დაიწყო ე.წ. „ბაბილონის ტყვეობა“. აქემენიანთა მიერ ბაბილონის დამხობის შემდეგ (ძვ.წ. 538) კიროს II-მ იუდეველებს იერუსალიმში დაბრუნებისა და იაჰვეს ტაძრის აშენების ნება დართო. ძვ.წ. IV ს.-ში იუდეა ალექსანდრე მაკედონელის სახელმწიფოში შედიოდა, მოგვიანებით კი რომის იმპერიის პროვინციად გადაიქცა. იუდეა საბოლოოდ ახ.წ. 70 წელს დაეცა , როდესაც რომაელმა სარდალმა ტიტუს ფლავიუსმა იერუსალიმი დაანგრია. ახ.წ. 135 წელს ებრაელები საბოლოოდ განდევნეს იერუსალიმისა და მისი მიმდებარე მიწებიდან. ამ ტერიტორიას რომაელებმა უწოდეს პალესტინა (Philistine Syria - ჰეროდოტესგან მომდინარე ტერმინი , რომლითაც „ ისტორიის მამად“ წოდებული მემატიანე სირიის სამხრეთ ნაწილს აღნიშნავდა), რათა „ მოგონებაც კი წაეშალათ ებრაულ სამფლობელოზე“[2]. რომაელები პალესტინას მე-4 საუკუნემდე მართავდნენ, ხოლო შემდეგ ის ბიზანტიის კონტროლის ქვეშ გადავიდა. იერუსალიმის აღების შემდეგ (638) არაბებმა ებრაელებს ნება დართეს დაბრუნებულიყვნენ ქალაქში, სადაც მათ

[1] სანიკიძე, გ , ალასანია, გ. გელოვანი, ნ . ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი უღტიერთობები სამხრეთ კავკასიასთან, თბილისი 2011 წ. გვ.454-457

[2] Chertolf, MJOrdechai S. Zionism: a Basic Reader, New York: Herzl Press, 1975. P. 45-49

რომაელები /ბიზანტიელები წინა ხუთი საუკუნის განმავლობაში დასახლების უფლებას არ აძლევდნენ. ოსმალეთის მიერ პალესტინის დაპყრობის (1516) შემდეგ ებრაელებმა მცირე დაჯგუფების მოძრაობა ოსმალური პალესტინის მიმართულებით განუწყვეტელი პროცესი იყო. [3]

„ბაბილონის ტყვეობიდან“ მოყოლებული (ძვ.წ. VI ს.) , ბოლო ორი ათასწლეულის განმავლობაში ებრაელთა აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობდა მუდმივად მზარდ დიასპორაში (მესოპოტამია, სპარსეთი , ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი, რუსეთი, აშშ და სხვ. ; პირველი ებრაული კოლონია საქართველოში დადასტურებულია ძვ.წ. II ს-ში) , ხოლო მცირე ნაწილი რჩებოდა პირვანდელ სამშობლოშიც.

ისტორიულად სხვადასხვა არეალში და სხვადასხვა დროში , ებრაელები ხშირად განიცდიდნენ მასობრივ დევნასა და შევიწროვებას. ჯერ კიდევ 1215 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ დაავალდებულა ებრაელები ეტარებინათ სპეციალური სამოსი, აუკრძალ ხელოსნობით ესარგებლათ და ამ ყველაფრით მანდ საფუძველი ჩაუყარა ებრაელთა განცალკევების იდეას ანუ ებრაულ „გეტოებს“ . 1555 წლის პაპის ბულათით (Cum nimis absurdum) დაწესდა რელიგიური და ეკონომიკური შეზღუდვები ცენტრალური იტალიის ტერიტორიაზე (მასზე ვრცელდებოდა პაპის უფლებამოსილება 1870 წლამდე) მცხოვრები ებრაელებისათვის. 1558 წელს გამოცემული საკმაოდ ბევრი კანონით საგრძნობლად გაიზარდა კონტროლი ებრაელებზე. XIX საუკუნის დასაწყისიდან შუა ხანებამდე საფრანგეთსა და გერმანიაში ებრაელებისათვის ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნა და გაჩნდა ევროპულ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის იმედი. ამ პროცესების მეშვეობით, უამრავი ებრაელი გახდა ევროპული კულტურის,ხელოვნების და ლიტერატურის ცნობილი თვალსაჩინო წარმომადგენელი. მოძრაობა „ჰასკალას“ (ებრაული განათლება) შემქმნელი და სულიერი ლიდერი გახდა ფილოსოფოსი და ეგზეტიკოსი , „გერმანელი სოკრატე“ მოსეს მენდელსონი , რომლის იდეებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა XIX ს-ში იუდაიზმის რეფორმაციაზე. 1971 წელს ებრაელებმა მიიღეს მოქალაქეობა საფრანგეთში , ხოლო 1858 წელს -ინგლისში. „ემანსიპაციის“

[3] გაჩეჩილაძე, რ.(2011). ახლო აღმოსავლეთი, თბილისი 2008 წ. გვ.423-433

კამპანია, ე.ი. ებრაელების მიერ ყველა სამოქალაქო უფლების მიღება, თანდათანობით ძლიერდებოდა და ფართოვდებოდა, თუმცა მალე მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა.[4] 1880 -იან წლებში გერმანელმა ფილოსოფოსმა კარლ დიურინგმა გამოაქვეყნა მთელი რიგი შრომები, რომლებიც მიმართული იყო ებრაელების წინააღმდეგ და მოუწოდებდა ევროპელებს, ჩამოერთმიათ მათთვის სამოქალაქო უფლებები და გადაეყვანათ ისინი სპეციალურ დასახლებებში - გეტოებში. მისი აზრით, „ ებრაული საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო ხოცვის გზით“ .[5]

1881 წლის 1 მარტს რადიკალური ორგანიზაცია ნაროდნაია ვოლიას ტერორისტული აქტით მოკლეს რუსეთის იმპერატორი ალექსანდერე II , რაშიც ბუნებრივია ებრაელებს დასდეს ბრალი. ამას კი, რა თქმა უნდა, მოჰყვა ებრაელების რბევის დიდი ტალღა რუსეთში. „ სამი დღე მთელი დასავლეთ რუსეთი , შავი ზღვიდან ბალტიის ზღვამდე , იყო ებრაული სახლების ნანგრევების კვალში“, 160 სოფელი ბარბაროსულად განადგურდა . „ ასეთი სისასტიკე , როგორიც იმ დღეებშ გამოვლინდა უცნობი იყო შუა საუკუნეებიდან დღემდე „[6]. თუმცა ებროპაში ებრაელთა დევნის ყველაზე მძიმე ეტაპი დაიწყო ადოლფ ჰიტლერის მიერ საკონცენტრაციო ბანაკების შექმნითა და გაზის კამერების გამოყენებით . გერმანიაში ნაცისტური წყობის მკაფიოდ გამოხატულ ანტისემიტურ პოლიტიკას 1939-1945 წლებში შეეწირა დაახლებით 6 მლნ ებრაელის სიცოცხლე .

არაბ-ისრაელის კონფლიქტის დასაბამის განხილვი დროს, აუცილებელია,პალესტინის ებრაული კოლონიზაციის საკითხის მიმოხილვაც. XIX საუკუნის დასაწყისში პალესტინაში ებრაული მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 5000 ადამიანს და ისინი ცხოვრობდნენ უმთავრესად 4 ქალაქში,ესენი იყო: იერუსალიმი, საფედი (ცფათ) , ტიბერია, ხებრონი. რეალურად

---

[4] სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.- XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი, 2011. გვ.460-468

[5] სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.- XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი, 2011. გვ. 477

[6] Tuchman, B.W. (1984) Bible and Sword: England and Palestine from the Bronze Ago to Balfour. New York: Ballantine Bokks. P. 48

ებრაელებს არასდროს არ შეუწყვეტიათ „ წმინდა მიწაზე“ ანუ პალესტინაში პატარ-პატარა ჯგუფებად ჩასახლება, რადგან პალესტინა მათთვის ნამდვილად იყო ებრაული საკულტო და კულტურული ცნტრი, მაგრამ XIX ს-ის ბოლომდე ებრაული კერის ჩამოყალიბებისათვის რეალური ხელშემწყობი პირობები არ იყო და მათი კავშირი წმინდა მიწასთან დიდხანს იყო აუსრულებელი იდეა და სურვილი. ეს იყო „ძველი მესიანური“ და „მითიური“ სიონიზმის ეპოქა, როგორც აღნიშნავდა ამერიკელი მკვლევარი უოლტერ ლაკერი, „სიონიზმის ისტორიის“ ავტორი. ჯერ კიდევ პურიტანული რევოლუციის დროს ებრაელთა პალესტინაში დაბრუნების იდეა ბევრი ინგლისელის ყურადღებს ცენტრში აღმოჩნდა. ბარბარა თაჩმენი შენიშნავს , რომ ებრაელებს წმინდა მიწაზე დაბრუნებისაკენ პირველმა მოუწოდა სერ ჰენრი ფინჩმა 1621 წელს თავის ნაშრომში The World`s Great Restauration or Calling of the Jews and with Them of All Nations and Kingdoms of the Earth to the Faith of Christ. მან „ იწინასწარმეტყველა , რომ უახლოეს მომავალშ ებრაელები აღადგენენ თავიანთ ბატონობას და შექმნიან მსოფლიო იმპერიას“ .

სიონში (იერუსალიმის ბიბლიური სახელი) დაბრუნების ტრადიციული მესიანური იდეა რაციონალიზებულ იქნა რაბინების - იუდა ალკალაის (1798-1878) და ცვი ჰირშ კალისჩერის (1795-1874) ნაშრომებში. ისინი იბრძოდნენ ებრაელთა კოლონიების დაარსებისათვის ერეც-ისრაელში. ინგლისელი პოლიტიკოსი ენტონი ეშლი კუპერ შეფთსბერი (მეშვიდე გრაფი შეფთსბერი, 1801-1885) იყო ქრისტიანული სიონიზმის მომხრე და „ საფუძელი ჩაუყარა ევანგელიკურ მოძრაობას ინგლისის ეკლესიაში. მან განაცხადა , რომ ინგლისელებს აქვთ განსაკუთრებული ვალდებულება ებრაელების წინაშე და ამიტომ უნდა მოაქციონ ისინი ქრისტიანობაზე და დააბრუნონ ბიბლიურ სამშობლოში. „ მხოლოდ [ქრისტიანობაზე] მოქცევისა და ებრაელთა წმინდა მიწაზე დაბრუნების შემდეგ დადგება სამყაროს აღსასრული და გამოჩნდება მესია“.[7] შეფთსბერიმ ასევე შთააგონა ინგლისის სახელმწიფო მდივანი საგარეო საკითხებში ლორდი პალმერსტონი , რათა ბრიტანეთს აღმოეჩინა მფარველობა პალესტინაში მცხოვრები ებრაელებისათვის. თუმცა ლორდი შეფთსბერის ინტერესები არ

[7] Tuchman, 1984: 178; Fromkin, 1989: 268-269

სცილდებოდა ქრისტიანული მოძღვრების ჩარჩოებს , რაზედაც მოწმობს ის ფაქტი ,რომ ის ებრაელებში ხედავდა პოტენციურ ქრისტიანებს . მას ვერც კი წარმოედგინა ,რომ პალესტინის ტერიტორიაზე შეიძლებოდა შექმნილიყო დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფო, მაგრამ დარწმუნებული იყო , რომ ებრაელები, წმინდა მიწაზე დასახლებით, პალესტინაში მიიტანდნენ ევროპულ ცივილიზაციას. [8]

ისტორიულ სამშობლოში ებრაელთა დაბრუნების იდეა ფაქტობრივად დაიბადა XVIII ს-ის ბოლოს. ცნობილია, რომ ნაპოლეონ ბონაპარტე, ეგვიპტის ექსპედიციის (1798-1801) დროს ფიქრობდა იერუსალიმის სამეფოს შექმნაზე . თავის მიმართვაში ის მოუწოდებდა ებრაელებს „აჯანყებულიყვნენ“ და აღედგინათ სამოქალაქო უფლება იმ მიწის მოსახლეობას შორის, რომელსაც ისინი სამარცხვინოდ მოწყვიტეს ათასწლეულების მანძილზე „ ((Tuchman, 1984: 163).[9]

1.2. „სიონში“ დაბრუნების იდეა. „პოლიტიკური სიონიზმი“ და პალესტინურ- არაბული ნაციონალიზმი.

„ინგლისელების როლი ისრაელის განვითარებაში თავდაპირველად განისაზღვრებოდა ძირითადად ორი მოტივით - რელიგიურით და პოლიტიკურით. პირველის მიზეზი იყო მორალური ვალი ანუ გრძნობა ბიბლიურ ხალხთან დაკავშირებით, რომელსაც სჭირდებოდა ეს მიწა. ბიბლია... თომას ჰაქსლის სიტყვებით, აღიქმებოდა როგორც „ ინგლისელთა ეროვნული ეპოსი“. შესაბამისად, ინგლისი უკვე იდგა ერთი ფეხით პალესტინაში, მეორე ფეხი კი აღმოჩნდა იქ იმპერიის მოთხოვნით“.

„ინგლისელებს ძალიან ლამაზად წარმოედგინათ ევროპული ტიპის ებრაული სახელმწიფოს წარმოქმნა ახლო აღმოსავლეთში: „კლიენტი სახელმწიფო“ შეიძლებოდა დახმარებოდა ინგლისს, რა თქმა უნდა, დაეცვა თავისი

[8] Wagner, Donald. Evangelicals and Israel Theological Roots of a Political Alliance. The Christian Century, 1998, pp. 1020-1026.
[9] Tuchman, B.W. (1984) Bible and Sword: England and Palestine from the Bronze Ago to Balfour. New York: Ballantine Bokks. P.55

ინტერესები - მათ შორის შეენარჩუნებინა კონტროლის სფერო ევროპასა და აზიასთან დამაკავშირებელ სახმელეთო და საზღვაო გზებზე". [10]

ებრაელთა მოძრაობა სუვერენული, ნაციონალური სახელმწიფოს შესაქმნელად დაიწყო XIX საუკუნის ბოლოს ევროპაში და მიიღო „სიონიზმის" სახელწოდება.

ტერმინი სიონიზმი პირველად გააჟღერა ავსტრიელმა ჟურნალისტმა ნათან ბირნბმაუმმა, 1885 წელს მის მიერ დაარსებულ ჟურნალში „ თვითემანსიპაცია" (Selfemancipation) (ჯერ კიდევ 1882 წელს მან დააარსა ევროპული ეროვნული საძმო).

პოლიტიკური სიონიზმის უმთავრესი ამოცანა იყო რომ შექმნილიყო ებრაული სახელმწიფო. ავსტრიელ ჟურნალისტის თეოდორ ჰერცლის (19860-1904) ნაშრომში „ სახელმწიფო ებრაელებისათვის", მოცემულია პოლიტიკური სიონიზმის იდეოლოგიური ბაზა. თეოდორ ჰერცლმა მხარი დაუჭირა ე.წ. „ უგანდის პროექტს", რომლის მიხედვითაც, ბრიტანეთის მთავრობის ნებართვით უგანდაში უნდა შექმნილიყო ებრაული ავტონომიური დასახლება. ჰერცლი დათანხმდა ამ წინადადებას, როგორც დროებით გადაწყვეტილებას, რაც გამოწვეული იყო რუსი ებრაელების ძალიან მძიმე მდგომარეობით და 1993 წელს კიშინიოვის დარბევით. თეოდორ ჰერცლის გარდაცვალებისთანავე ეს პროექტი უარყვეს. თითქმის ყველა ემხრობოდა ებრაელთა დაბრუნებას შორეული წინაპრების მიწაზე პალესტინაში.

1897 წლის 29 აგვისტოს თეოდორ ჰერცლის მიერ ქ. ბაზელში მოწვეულ იქნა პირველი სიონისტური კონგრესი, რომელზეც მოხდა სიონიზმის , როგორც ებრაელთა მოძრაობის დაფუძნება. თეოდორ ჰერცლი და მისი მომხრეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გადასახლებისათვის საერთაშორისო იურიდიული ბაზის შექმნას. თეოდორ ჰერცლმა კონგრესზე განაცხადა „ სიონიზმის მიზანია პალესტინაში ეროვნული კერის შექმნა ებრაელთათვის , რომელთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს კანონი" .[11]

---

[10] Tuchman, B.W. (1984). Bible and Sword: England and Palestine from the Bronze Ago to Balfour. New York:Ballantine Books. P. 78

[11] Rollim, A., 2002,(243-244).

კონგრესს ესწრებოდა დაახლოებით 200 დელეგატი, რომლებიც იყვნენ სულ 17 ქვეყნიდან. მათგან 69 დელეგატი სხვადასხვა სიონისტური ორგანიზაციიდან იყო წარმოდგენილი ხოლო დანარჩენი ინდივიდუალური მოწვევით იყო. მას ესწრებოდა აგრეთვე 10 არაებრაელი და 17 ქალი, რომელთაც არ ჰქონდათ ხმის უფლება რადგან ქალებმა ეს უფლება მოიპოვეს მხოლოდ მეორე კონგრესზე. ბაზელის კონგრესზე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დაეარსებინათ მსოფლიო სიონისტური ორგანიზაცია, როგორც სიონისტური მოძრაობის ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანო. [12] ამის შემდეგ შემდეგ კონგრესი ყოველწლიურად მართავდა ასეთ შეკრებებს. პირველი კონგრესის დასრულების შემედეგ თეოდორ ჰერცლმა თავის დღიურში ჩაწერა : „ბაზელში მე დავაფუძნე ებრაელთა სახელმწიფო“ (ციტ. Morris, 2009 : 36)[13] . მეორიგი სიონისტური კონგრესი ჩატარდა 1898 წელს. ამჯერად მას ესწრებოდა 350 დელეგატი, ხოლო სიონისტური მოძრაობის წევრთა რაოდენობამ ამ დროისათვის 900-ს მიაღწია . 1889 წლიდან მოყოლებული პალესტინაში ყოველთვიურად ჩადიოდა რამდენიმე ათეული ებრაელი, 19890 წლის გაზაფხულიდან-რამდენიმე ასეული და XX ს-ის დასაწყისისათვის პალესტინაში ებრაელთა რაოდენობა შეადგენდა 50 ათას ადამიანს (ძირითადად რეპატრიანტები აღმოსავლეთ ევროპიდან). [14]

პალესტინაში ებრაელთა მასობრივი იმიგრაციას ეწოდება ალია. ის დაიწყო 1881 წელს სიონისტური ორგანიზაციის ჰიბბატ ციონის ინიციატივით. 1896 წლამდე მოხდა 5 ალია: პირველი, 1881-1903 წწ.-გადასახლდა 25-30 ათასი ებრაელი, რომელთა უმეტესობა იყო აღმოსავლეთ ევროპიდან. მეორე, 1904-1914 წწ. – 35-40 ათასი ებრაელი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან, უფრო მეტად რუსეთიდან ; მესამე, 1919-1923 წწ.-37 ათასი ებრაელი , რომელთა უმეტესი ნაწილი რუსეთიდან და პოლონეთიდან იყო. მესამე ალიას საფუძელი ჩაუყარა ბალფურის დეკლარაციამ და რუსეთის რევოლუციამ; მეოთხე, 1924-1928 წწ.- 70 ათასი, ძირითადად პოლონელი ებრაელები და გადასახლების მთავარი მიზეზი

[12] Cleveland, W.L.(2004,2009). A History of the Modern Middle East 3rd ed. Boulde: Westview Press. P. 49
[13] Morris, Benny. Righteous Victims. A History of the Zionist-Arab Conflict, 1881-1999. New-York:Alfred Knopf, 1999, P. 150
[14] Mc Dowall , 1975: 7; Mansfield, 1992: P. 173

იყო პოლონეთის მკაცრი საგადასახადო პოლიტიკა; მეხუთე, 1929-1939 წწ. – 200-225 ათასი ებრაელი , უმთავრესად იყვნენ გერმანიიდან. [15]

საინტერესო არის სიონისტების მიდგომა პალესტინის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ-არაბებისადმი, რადგან მთავარი კითხვა - „ვინ არის სინამდვილეში პალესტინის მკვიდრი „ ძირითადი ქვაკუთხედი არის ებრაელებსა და არაბებს შორის კონფლიქტში. ერთი მხრივ, ებრაელები ეყრდნობიან ებრაელი ხალხის უძველეს ისტორიას, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული პალესტინასთან და მეორე მხრივ , არაბები საუბრობენ წმინდა მიწაზე ყოფნის ათასწლეულზე მეტ ისტორიაზე.

XX ს- ის 40-იან წლებში პალესტინაში იყო ორი ნაციონალისტური მოძრაობა: სიონიზმი, რომლის მიზანი იყო ებრაელებისათვის ეროვნული კერის შექმნა და პალესტინურ-არაბული ნაციონალიზმი, რომელსაც სურდა, რომ გაეუქმებინა ბრიტანული მმართველობა და დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფო შექმნილიყო. სწორედ ამ ორმა ნაციონალისტურმა ხედვამ წარმოშვა კონფლიქტი ებრაელებსა და პალესტინელ არაბებს შორის.

„წარმოშობითა და თავისი არსით კონფლიქტი [ებრაელებსა და არაბებს შორის]მხოლოდ შედეგია ორი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის-ებრაეულის და პალესტინურის. დილემა იმაში მდგომარეობს, რომ, ერთი მხრივ, ებრაელები მიისწრაფიან იბატონონ პალესტინაში,ხოლო მეორე მხრივ, ბუნებრივი უფლება იმავეზე აქვთ პალესტინელებს“.[16]

სიონისტური მოძრაობის ლიდერები განიხილავდნენ პალესტინასთან არაბების დამოკიდებულების საკითხს. ზოგიერთი სიონისტი უარყოფდა არაბული მოსახლეობის არსებობას,წამოწევდა ლოზუნგს „ მიწა[პალესტინა] ხალხის გარეშე- ხალხი[ებრაელები] მიწის გარეშე“. ბოას ევრონი შენიშნავდა: „ პალესტინაში დიდხანს მცხოვრები ებრაელები არასოდეს ასე არ იტყოდნენ . მათ

[15] Tessler , 1994: 60-61 , 185, 208; Clivlend, 209 : 254; Kamrava, 2005: P. 75

[16] Shlaim, Avi. The Iron Wall: Israel and Arab World. New York, London : W.W. Norton and Co., P. 200.

საკუთარი გამოცდილებით იცოდნენ, რომ პალესტინელები-ეს ხალხია და ამასთან ხალხი, რომლის იგნორირებაც არ შეიძლება“. [17]

ებრაული დასახლებები ისრაელში და ისრაელის სახელმწიფო ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა პალესტინის არაბულ მოსახლეობასთან და მის მხარდამჭერ მეზობელ არაბულ ქვეყნებთან განუწყვეტელი დაპირისპირების პირობებში. ეს პროცესი აყალიბებდა აგრეთვე ხასიათს და თვითშეგნებას არაბებისა, რომლებიც დღეს თავის თავს თვლიან არა მხოლოდ არაბებად, არამედ პალესტინელებადაც,თუმცა საკუთრივ პალესტინური ეროვნული თვითშეგნება მათ გაუჩნდათ ჯერ კიდევ ამ ბრძოლის გამწვავებამდე .

ისეთი ავტორები, როგორიც არის ხაიმ ხისინი (ცნობილი პუბლიცისტი და ჟურნალისტი) კრიტიკულად უყურებდა ებრაელი კოლონისტების პოლიტიკას არაბულ მოსახლეობასთან მიმართებაში. ის წერდა : „[კოლონისტებისადმი] არაბების სიძულვილში თვითონ კოლონისტები არიან დამნაშავენი, მათ ეს დაიმსახურეს.ებრაელები ზედმეტად მაღალი აზრის არიან საკუთარ თავზე და ზედმეტად ქედმაღლურად უყურებენ არაბებს “.[18]

სიონისტებს განზრახული ჰქონდათ, რომ შეექმნათ „ებრაელთა სამშობლო“ პალესტინაში თურქების ან გერმანელების გამგებლობის ქვეშ. პალესტინაში ჩასახლებული ებრაელები აყალიბებდნენ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებს-კიბუცებს , მოგვიანებით კი მათ ააშენეს ქალაქი თელ-ავივი. ძალიან სწრაფად იზრდებოდა არაბული მოსახლეობაც . 1994 წელს პალესტინის 700 000-ზე მეტი მოსახლეობიდან 615 000 არაბი , ხოლო 85 -100 ათასი ებრაელი იყო. ეს ის დრო იყო , როდესაც ევროპელებს არაბული და ებრაული ნაციონალიზმი ბუნებრივ მოკავშირეებად მიაჩნდათ. ომის საკითხებში ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანი ჰორაციო ჰერბერტ კიტჩენერი (1850-1916) ომის დასაწყისში თვლიდა, რომ ომის დასრულების შემდეგ ახლო აღმოსავლეთი უნდა გაენაწილებინათ ბრიტანეთს , საფრანგეთს და რუსეთს შორის. მოგვიანებით შეიცვალა მდგომარეობა და

[17] Evron, B. (1995). *Jewish state or Israeli Nation?* Bloominghton and Indianapolis: Indiana University Press.P. 187

[18] Сакер, Говард М. История Израиля ом возникновения сионизма до создания государства Израиля.Том 1 Иерусалим: Библиотека Алия, 1994, 49-84

როგორც დ. ფრომკინი შენიშნავს, „ ჩვენ ვხედავთ, რომ ბრიტანეთის 1914,1915 და 1916 წწ. მთავრობა, რომელიც მიესალმებოდა რუსეთის და საფრანგეთის ყოფნას ომის შემდგომ ახლო აღმოსავლეთში, შეიცვალა ომის შემდგომი მთავრობით, რომელიც განიხილავდა რუსეთს ახლო აღმოსავლეთში , როგორც ხიფათს და საფრანგეთის [გავლენას] რეგიონში როგორც უბედურებას. ჩვენ ვხედავთ 1917 წლის პროსიონისტებს, რომლებიც გადაიქცნენ ანტისიონისტებად 1921 და 1922 წელს; ფაისალის არაბული მოძრაობის მხარდამჭერებს, რომლებიც შემდეგ აუმხედრდნენ ფაისალს , როგორც არასაიმედოს და მის ძმას, აბდალაჰს , როგორც უიმედოდ წარუმატებელს“ .[19]

1916 წლის საიკს - პიკოს შეთანხმებით , პალესტინა უნდა გამხდარიყო ბრიტანული მართვის ქვეშ, რაც შეეხება მის ნაწილს, ის უნდა გადასულიყო მოკავშირეების გამგებლობაში, სირია და ლიბანი კი - საფრანგეთის. ამ ყველაფრის გარდა,ბრიტანეთი მხარს უჭერდა არაბების დამოუკიდებლობას და არაბებს ზუსტად იმავე ტერიტორიას პირდებოდა. დიდი ბრიტანეთი ებრაელების ეროვნულ კერას სთავაზობდა და ეწეოდა ორმაგ ომს. 1915-1916 წწ. მიმდინარეობდა ამ საკითხებთან დაკავშირებით საკმაოდ აქტიური მიმოწერა ეგვიპტეში ინგლისელთა უმაღლეს კომისარს სერ ჰენრი მაკმაჰოლსა და მექის შარიფ ჰუსაინს შორის. ამ წერილებში ინგლისელი დიპლომატი მაქსიმალური სიფრთხილით ცდილობდა, რომ თავი შეეკავებინა პალესტინის მომავლის შესახებ ზუსტი პოზიცია გამეხატა.[20]

ბალფურის დეკლარაცია გახდა ებრაელთა რეპატრიაციის რეალური იურიდიული საფუძველი. მასში ბრიტანეთის მთავრობა გამოხატავდა იმას, რომ ის მხარს უჭერდა სიონისტურ მიზნებს. 1917 წლის 2 ნოემბერს დიდი ბრიტანეთის მთავრობის სახელით საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა ლორდმა ბალფურმა (1848-1930) გაუგზავნა საბოლოოდ შეთანხმებული ტექსტი ბრიტანეთის ებრაული თემის წარმომადგენელს ლორდ როტშილდს. წერილში აშკარად ჩანდა,რომ დიდი ბრიტანეთი გამოხატავდა თავის კეთილგანწყობას

[19] Fromkin, D. (1989) p. 111

[20] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი (ხალხი, სივრცე და პოლიტიკა). თბილისი, 2019., გვ.230-235

პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნების თაობაზე (Goldschmidt, 2006: 278; Mayir, 1982). [21]

2 ნოემბერი 1917წ.

ძვირფასო ლორდო როტშილდ,

ჩემთვის დიდი სიამოვნებაა, მისი უდიდებულესობის მთავრობის სახელით გადმოგცეთ ებრაელთა სიონისტური მისწრაფებისადმი თანაგრძNობის შემდეგი დეკლარაცია, რომელიც წარედგინა და დამტკიცდა კაბინეტის მიერ:

„მისი უდიდებულესობის მთავრობა კეთილგანწყობით უყურებს პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებას და გამოიყენებს მთელ თავის ძალისხმევას, რათა გააადვილოს ამ მიზნის მიღწევა, იმის ნათელი გაგებით, რომ არაფერი გაკეთდება ისეთი, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს პალესტინაში არსებული არაებრაული თემების სამოქალაქო და რელიგიურ უფლებებს, ანდა იმ უფლებებსა და პოლიტიკურ სტატუსს , რომლითაც ებრაელების სარგებლობენ რომელიმე სხვა ქვეყანაში“.[22]

მადლობელი დაგრჩებით თუკი გააცნობთ ამ დეკლარაციას სიონისტურ ფედერაციას.

არტურ ბალფური

(ციტ. Felton, 2008: 24-25; გაჩეჩილაძე, 2008ა: 270).

ბალფურის დეკლარაციას , რომლის საბოლოო რედაქცია გარკვეული კომპრომისების შედეგია, იმთავითვე გარკვეული ხარვეზი ახლდა.[23] იქ არ იყო მითითებული ზუსტი ტერიტორია, სადაც უნდა დაესახლებინათ ებრაელები. გატვალისწინებული იყო ებრაელთა იმ ნაწილის მოსაზრება, რომელიც სიონიზმის ამ გეგმას „ ღვთის გეგმის უზურპაციად“ მიიჩნევდა, რადგან ისრაელი , მათი რწმენით , მხოლოდ მესიას უნდა აღედგინა, ებრაელების ჩასახლებას ნებაყოფლობითი ხასიათი უნდა ჰქონოდა და მათ უნდა ჰქონოდათ უფლება შეენარჩუნებინათ სტატუსი ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. დეკლარაციაში ლაპარაკია

[21] Goldschmidt, 2006: 278; Mayir, 1982, P. 50

[22] სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.- XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი, 2011. გვ.458-459

[23] Felton, John. The Contemporary Middle East: a Documentary History. New York: SQ Press, 2008, P. 41-45

პალესტინაში ებრაელი ხალხისათვის ეროვნული კერის დაფუძნებაზე და არა მთელი პალესტინის გადაქცევაზე ასეთ კერად .

1.3. პალესტინა-ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორია

1917 წლის 11 დეკემბერს ბრიტანეთის არმია იერუსალიმში შევიდა, რომელსაც მეთაურობდა გენერალი ედმუნდ ალენბისი. ამას მოჰყვა ისიც რომ, 1920 წლის 1 ივლისს ბრიტანეთის სამოქალაქო ადმინისტრაციის ცენტრი იერუსალიმი ოფიციალურად გახდა. ბრიტანეთის უმაღლეს სამოქალაქო კომისრად დაინიშნა ჰერბერთ სემუელი. 1922წ. სან რემოს საერთაშორისო კონფერენციაზე დიდმა ბრიტანეთმა მიიღო ერთა ლიგის მანდატი პალესტინის მართვაზე. მანდატის ტერიტორია იყო გაცილებით დიდი, ვიდრე ისტორიული პალესტინა, როგორც ამას სიონისტები განიხილავდნენ. იმ დროისათვის პალესტინაში ცხოვრობდა 85 ათასი ებრაელი. ბრიტანეთისათვის მინიჭებული მანდატი მდინარე იორდანეს აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ტრანსიორდანიის მთელ ტერიტორიასა და დასავლეთ სანაპიროს მიწებს მოიცავდა. 1922 წელს ბრიტანეთის სახელმწიფო მდივანმა კოლონიების საკითხში უინსტონ ჩერჩილმა , ამირა აბდალაჰის (შემდგომში მეფე) მმართველობის ქვეშ ტრანსიორდანიის ტერიტორიაზე საამირო შექმნა, რომელიც მოგვიანებით იორდანიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა (ჰერცოგი, 2007 : 19-20). [24]სიონისტების ჯგუფი თავს მოტყუებულად თვლიდა , რადგან დიდი ნაწილი იმისა , რასაც ისინი „ ისტორიულ პალესტინას „ უწოდებდნენ, ტრანსიორდანიას მიეცა , და მათ ჩამოაყალიბეს „ რევიზიონისტული“ მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რუსი ებრაელი ჟურნალისტი ვლადიმირ ჟაბოტინსკი (1880-1940). მისი, როგორც სიონისტი-რევიზიონისტის აზრით , ებრაელთა სახელმწიფო მდ. იორდანეს ორივე - დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეს უნდა ყოფილიყო .[25]

ჯერ კიდევ 1925 წელს ვ. ჟაბოტინსკი წერდა:

---

[24] ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007. , გვ.640-651

[25] Wilson, Mary. King Abdullah, Britain and the Making of Jordan. Cambridge: Cambridge University Press, 1987. P.12

„თითოეულმა არაბმა უნდა იცდეს სიმართლე-„არც ძალით , არც საპარლამენტო აქტებით, არც ღვთიური სასწაულით შენ (არაბო) ვერ მოახერხებ ხელი შეუშალო ერეც-ისრაელის ნაბიჯ-ნაბიჯ გარდაქმნას ქვეყნად უპირატესი ებრაული მოსახლეობით“ . [26]

მანდატის თანახმად, ხელი უნდა შეეწყო ებრაელთა იმიგრაციისათვის და ამის ვალდებულებას იღებდა თავის თავზე, ასევე უნდა შექმნა ისეთი პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სამეურნეო პირობები , რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა პალესტინაში ებრაელთა ეროვნული კერის დაარსება. ბრიტანულმა სამოქალაქო ხელისუფლებამ შექმნა იერუსალიმში ადმინისტრაციული და სასამართლო დაწესებულებები, ხოლო 1924 წელს პირველად აირჩიეს საქალაქო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ოთხ-ოთხი წარმომადგენელი სამი რელიგიური თემიდან (მუსლიმური, ქრისტიანული და ებრაული).

XX საუკუნის დასაწყისიდან ებრაულმა ორგანიზაციებმა მიწების შესყიდვა დაიწყეს პალესტინაში. მიწის დიდი ნაკვეთებს ფლობდნენ არა მხოლოდ პალესტინელი არაბები, არამედ ფეოდალები სირიიდან და ლიბანიდან, რომლებიც ყიდიდნენ პალესტინის მიწის ნაკვეთებს სიონისტური ორგანიზაციების წარმომადგენლებზე. ის არაბები რომლებიც აქ მიწას ფლობდნენ, თვლიდნენ, რომ უფრო ხელსაყრელი იყო მიეყიდათ ეს მიწები ებრაელებისათვის, ვიდრე მიეცათ ის არენდით თავისი თანატომელებისათვის. ამ მიწის 1/3 -ზე მეტი გაიყიდა ებრაელებზე ჯერ კიდევ ბალფურის დეკლარაციის გამოქვეყნებამდე. არაბებს იმ მომენტში არ ესმოდათ პალესტინაზე სიონისტური პრეტენზიების ჭეშმარიტი არსი, ვერ ხედავდნენ საფრთხეს სიონისტების მიერ პალესტინური მიწების ყიდვაში. ამას მხოლოდ მოგვიანებით მიხვდნენ, როცა 1930-იან წლებში სამანდატო პალესტინის ტერიტორიაზე გახშირდა შეტაკებები არაბებსა და ებრაელებს შორის, ასევე პალესტინელთა შეიარაღებული გამოსვლები ბრიტანეთის კოლონიური ადმინისტრაციის წინააღმდეგ (განსაკუთრებით „პალესტინის აჯანყების“ წლებში-1936-1939). არაბებს და ებრაელ

[26] Kumaraswamy, P. (2009). *The A to Z of the Arab-Israeli Conflict.* The Scarecrow Press, Inc , P. 46

ახალმოსახლეებს შორის შეტაკებებს ჰქონდა, როგორც სოციალ-პოლიტიკური, ისე კულტურული სარჩული. ებრაელები არაბებს უყურებდნენ როგორც ველურ აბორიგენებს, ხოლო არაბები კი ხედავდნენ ებრაელებში ევროპელ კოლონიზატორებს.[27]

XX ს-ის 30-იანი წლების მიწურულს არაბთა უკმაყოფილება უფრო და უფრო იზრდებოდა, ამის გათვალისწინებით, დიდი ბრიტანეთის პოზიცია საგრძნობლად შეიცვალა: ერთი მხრივ, ინგლისელებმა იცოდნენ, რომ არაბებსა და ებრაელებს არ შეეძლოთ გაეყოთ პალესტინა, რადგანაც ორივე მხარე მას საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევდა, მეორე მხრივ, გერმანიისა და იტალიის გაძლიერება აიძულებდა ინგლისელებს წინდახედულად ემოქმედათ არაბებთან მეორე მსოფლიო ომის წინ, რომელშიც ახლო აღმოსავლეთი საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთი ასპარეზად შეიძლებოდა ქცეულიყო.

1937 წელს ლორდ პილის სამეფო კომისიამ გამოიტანა ინგლისელთათვის არასაიმედო დასკვნები: სამანდატო რეჟიმს არ შეუძლია მოაგვაროს გაღრმავებული კონფლიქტი პალესტინელებსა და ებრაელებს შორის. თავის დასკვნაში კომისია იძლეოდა რეკომენდაციას მოეწვიათ კონფერენცია პალესტინაში ებრაული და არაბული თემების ხელმძღვანელების მონაწილეობით. [28]

პილის კომისიი დასკვნები:

-კონფლიქტი არ შეიძლება გადაწყდეს ერთი სახელმწიფოს ფარგლებში;

- პალესტინა უნდა გაიყოს ორ - არაბულ და ებრაულ ნაწილებად, მთელი გარდამავალი პერიოდის მანძილზე, დამოუკიდებლობის გამოცხაებამდე;

- ებრალმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს გალილეის დიდი ნაწილი, სანაპირო ზოლი თანამედროვე აშდოდამდე (პალესტინის ტერიტორიის 20%) . არაბებმა უნდა მიიღონ მდ.იორდანეს დას. სანაპირო, ნეგერი, ღაზას მიდამოები. უნდა შეიქმნას ერთიანი არაბული სახელმწიფო, რომელშიც შევა ტრანსიორდანიაშიც;

[27] (Khalidi, 1997: 111-117).

[28] Felton, J. (2008). *The Contemporary Middle East: a Documentary History.* New York: SQ Press, P. 15

- ებრაული თემისათვის გამოყოფილი ტერიტორიბის ფარგლებში იკრძალება მიწების შეძენა;

- უნდა შეეზღუდოს [ებრაელთა] იმიგრაცია 8 ათასამდე 1937 წლის აგვისტოდან 1938 წლის 8 მარტამდე პერიოდში;

- ინგლისის კონტროლქვეშ უნდა დარცეს იერუსალიმი, ბეთლემი და დერეფანი, რომელიც აკავშირებს იერუსალიმს იაფასთან. ასევე ვიწრო ზოლი აკაბას ყურის ჩრდილო-დასავლეთით და შესაძლოა, ქ. ნაზარეთი.[29]

სენტ-ჯეიმზის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც არაბებმა ისე ებრაელებმა, დაიწყო ლონდონში 1939 წლის თებერვალში, ხოლო 17 მაისს გამოქვეყნდა ბრიტანეთის კოლონიების მინისტრის მალკომ მაკდონალდის ანგარიში ბრიტანეთის პარლამენტში, რომელიც ისტორიაში შევიდა მაკდონალდის „ თეთრი წიგნის“ სახელწოდებით. ფაქტობრივად „ თეთრი წიგნი“ გახდა ბალფურის დეკლარაციის რევიზია. მასში იყო წინადადებები, რათა შეექმნათ 10 წლის განმავლობაში დამოუკიდებელი სახელმწიფო პალესტინაში არაბული უმრავლესობით, უახლოების 5 წლის განმავლობაში კი პალესტინაში შემოსვლის ნება დაერთოთ არაუმეტეს 75 ათასი იმიგრანტი-ებრაელისათვის, შეეზღუდათ მიწების ყიდვა ებრაელების მიერ. ფაშსტური გერმანიის მიერ ევროპაში ებრაელთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტის პირობებში სიონისტებმა „თეთრი წიგნი“ უაღრესად ნეგატიურად მიიღეს. პალესტინის ბრიტანული ადმინისტრაციის წინააღმდეგ გაჩაღდა ტერორისტული საქმიანობა, რომელიც არ შეწყვეტილა მეორე მსოფლიო ომის დროს. თუმცა, ომის პერიოდში არაბები და აბერაელები მეტნაკლებად მშვიდობიანად თანაარსებობდნენ.

ბრიტანული წყაროები აღშფოთებიღ აღწერენ სიონისტების ტერორისტულ საქმიანობას პალესტინაში, ხაზს უსვამენ, რომ ის ასუსტებდა დიდ ბრიტანეთს, რომელიც ომს აწარმოებდა გერმანიასა და იტალიასთან: „1942 წელს სიონისტი ექსტრემისტების მცირე ჯგუფი აბრაჰა შტერნის ხელმძღვანელობით ცნობილი გახდა იმით, რომ აწყობდა თელ-ავივის რაიონში მთელ რიგ პოლიტიკურ მკვლელობებს და ძარცვებს. მომდევნო წელს ცნობილი გახდა

[29] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი (ხალხი, სივრცე და პოლიტიკა). თბილისი, 2019. გვ. 450-460

ფართო შეთქმულება, იარაღისა და საბრძოლო მასალების მოტაცების მიზნით ინგლისელი სამხედროებისაგან ახლო აღმოსავლეთში, რომელშიც ჩარეული იყო ჰაგანა („თავდაცვა“). მაგ., 1944 წლის 6 ნოემბერს, შტერნის ჯგუფის ორმა წევრმა (ელიაჰუ ჰანიმი და ელიაჰუ ზური) კაიროში მოკლა ინგლისის სახელმწიფო მინისტრი ახლო აღმოსავლეთში, ანტისიონისტი ლორდი მოინი, რომელიც უინსტონ ჩერჩილის პირადი მეგობარი იყო. ორივე დამნაშავე ჩამოახრჩეს, თუმცა ბრიტანული პოლიტიკა პალესტინის მიმართ არ შეცვლილა. კიდევ ერთმა იატაკქვეშა ებრაულმა ორგანიზაციამ - „ირგუნ ცვაი ლეუმი“ („ეროვნული სამხედრო ორგანიზაცია“- დაარსდა 1937 წ.) მიაყენა დიდი ზარალი სახელმწიფო ქონებას 1944 წლის განმავლობაში“. სიონისტების მიერ განხორციელებულ ტერაქტებს შორის ყველაზე გახმაურებული იყო 1946 წლის 22 ივლისს იერუსალიმში სასტუმრო „მეფე დავითის“ აფეთქება, სადაც განლაგებული იყო პალესტინის ბრიტანული ადმინისტრაციის მმართველობა, სამხედრო ოფისები და ფრანგული საკონსულო. 350 კილოგრამიანი ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა 91 და დაიჭრა 45 ადამიანი. [30]

ებრაელ ახალმოსახლეთა რიცხვი კი პალესტინაში მაინც იზრდებოდა. აქ 10 ათასობით იმიგრანტი ჩადიოდა არალეგალურად. თუ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ებრაელები შეადგენდნენ პალესტინის მოსახლეობის 1/10 -ზე ნაკლებს, 1947 წლისათვის ისინი უკვე შეადგენდნენ თითქმის მესამედს.

1939 წელს პალესტინაში იმიგრანტებთან მიმართებაში ბრიტანულ პოლიტიკას მოჰყვა ტრაგიკული შედეგები. მ წელს ინგლისელებმა ნება არ დართეს სამ სატვირთო გემს, რომლებიც ებრაელი ლტოლვილებით იყო სავსე, შესულიყო პალესტინაში. მოგვიანებით ფართო გამოძახილი მოჰყვა გემ „ სტრუმას“ ისტორიას, რომელიც გავიდა კონსტანცადან (რუმინეთი) 769 ლტოლვილით , მიადგა სტამბოლს 1941 წლის 16 დეკემბერს, სადაც უნდა შეეკეთებინათ. 10 კვირის განმავლობაშ თურქეთის და ბრიტანეთის მთავრობები საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ - ბრიტანელებს არ უნდოდათ მათი შესვლა პალესტინაში, ხოლო თურქეთის ხელისუფლება არ უშვებდა მათ ნაპირზე

[30] Kamrava, Mehran. The Modern Middle East: A Politicalo History since the First World War. Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2005.P. 110

(ნება დართეს მხოლოდ ერთ ფეხმძიმე ქალს და ორ ოჯახს) , რადგანაც ეშინოდა თურქეთში არ დარჩენილიყვნენ.1942 წლის 24 თებერვალს გემი იძლებით გაუშეს ზღვაში და ჩაძირულ იქნა რუსეთის წყალქვეშა ნავით, რომელმაც ის, შესაძლოა, ნაცისტურ გემად მიიჩნია. გადარჩა მხოლოდ ერთი ადამიანი - 19 წლის დევიდ სტოლიარი. იმავე წელს ხაიფასთან ჩაძრეს გემი „ პატრია“ , რასაც 252 ადამიანის დაღუპვა მოჰყვა . [31]

როგორც აღინიშნა, ინგლისელები შიშობდნენ, რომ არაბები მხარს დაუჭერდნენ გერმანიას. „ თეთრი წიგნი“ სწორედ ამ საფრთხის თავიდან აცილების წიგნი იყო. ჰოლოკოსტმა კი - ებრაელთა მასობრივმა განადგურებამ II მსოფლიო ომის დროს , ბევრისთვის გახადა ნათელი ებრაელების სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა.

ბრიტანელების „ ორპირობა“ არ აწყობდათ სიონისტებს, რომლებიც ელოდნენ უფრო აქტიურ მხარდაჭერას დიდი ბრიტანეთის მხრიდან ებრაული სახელმწიფოს შექმნის საკითხში. ამ პირობებში სიონისტები შეეცადნენ აშშ-ის მხარდაჭერის მოპოვბას. 1942 წლის 11 მაისს ებრაული სააგენტოს აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის სხდომაზე ნიუ იორკის სასტუმრო „ ბილტმორში“ ოფიციალურად გაახმოვანა ე.წ. „ბილტმორის პროგრამა“. მისი მიზანი იყო პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს შექმნა შეუზღუდავი იმიგრაციის გზით. ფაქტობრივად, ბილტმორის შეხვედრა ნიშნავდა პრიორიტეტების ცვლას სიონისტური მოძრაობის პოლიტიკური მოკავშირეების არჩევაში - დიდი ბრიტანეთი შეცვალა აშშ-მა. ამერიკელები, თავის მხრივ, მზად იყვნენ მიეღოთ აქტიური მონაწილეობა ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში, მათ შორის პალესტინის საკითხის გადაწყვეტაშიც. ომის შემდგომ მალევე შექიმნა ინგლისურ-ამერიკული კომიტეტი, რომელსაც დეტალურად უნდა შეესწავლა სიტუაცია პალესტინაში. კომიტეტის საქმიანობის შედეგებმა შეაშფოთა სიონისტები - უახლოეს დროში პალესტინისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების იდეა შეუძლებლად დასახელდა იმის გამო, რომ მტრობა პალესტინურ არაბებსა და ებრაელებს შორის გამოიწვევდა სამოქალაქო ომს. პალესტინა, მანდატის

[31] Rollim, A., 2002, p. 112

დასრულების შემდეგ, უნდა ყოფილიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მზრუნველობის ქვეშ. კომიტეტმა აგრეთვე რეკომენდაცია მისცა შეეცვალათ „ თეთრი წიგნის“ დებულებები და ნება დართო 100 ათასი ებრაელისათვის დასახლებულიყო პალესტინის ტერიტორიაზე. თუმცა, კომიტეტის ყველა რეკომენდაცია მიღებული იყო მხოლოდ ცნობად ბრიტანეთის მთავრობის მიერ. მოწვეულმა ლონდონის კონფერენციამ ხელი ვერ შეუწყო პალესტინის საკითხის გადაწყვეტას. ორივე მხარის მკაცრმა პოზიციამ გამოიწვია ის , რომ დიდმა ბრიტანეთმა გადაწყვიტა უარი ეთქვა მანდატზე და გადაეცა პალესტინის პრობლემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის. [32]

დიდი ბრიტანეთის მხრიდან მანდატზე უარის თქმის მიზეზი გახდა უძლურება უზრუნველეყო მშვიდობა წმინდა მიწაზე. პალესტინის საკიტხისადმი არათანმიმდევრულობამ გამოიწვია ის, რომ პალესტინელები , ისე როგორც ებრაელების, განწყობილი იყვნენ ანტიბრიტანულად. ირიბი მიზეზი გახდა დიდი ბრიტანეთის დასუსტება ომის შემდეგ, რასაც თან ახლდა ეკონომიკური პრობლემები. მიმდინარეობდა დიდი ბრიტანეთის კოლონიური სისტემის ეტაპობრივი დაშლა. ევროპული და ამერიკული საზოგადოება ებრაული საკითხის გადაწყვეტისა და დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს შექმნის საკიტხისადმი დადებითად იყო განწყობილი. ბრიტანეთის ადმინისტრაციის მცდელობებმა მოლაპარაკებოდნენ არაბებს და ებრაელებს გადაეწყვიტათ საკითხი გაერო-ს გარეშე , წარმატება არ მოიტანა- ინგლისელთა წინადადებებმა არ დააკმაყოფილა არც სიონისტები და არც არაბები. ბრიტანეთმა დახმარებისთვის მიმართა გაერო-ს გენერალურ აამბლეას და არა უშიშროების საბჭოს, რადგანაც იქ საბჭოთა კავშირს შეიძლებოდა გამოეყენებინა ვეტოს უფლება და დაებლოკა ნებისმიერი შეთანხმებული გადაწყვეტილება. ამდენად 1947 წლის 14 თებერვალს პალესტინის მომავლის საკითხი განსახილველად გადაეცა გაერო-ს.[33]

---

[32] Cleveland, William L. A History of the Modern Middle East 3rd ed. Boulder: Westview Press, 2004, 2009., P.114-117

[33] Felton, John. The Contemporary Middle East: a Documentary History. New York: SQ Press, 2008, P. 118-119

თავი II ისრაელის სახელმწიფოს შექმნა და კონფლიქტის დააწყისი არაბულ ქვეყნებთან.

2.1. პალესტინის გაყოფის გეგმები.

როდესაც პირველი სიონისტები თავის მოწოდებაში იყენებდნენ მოხდენილ ფორმულას „ ხალხი მიწის გარეშე, მიწა ხალხის გარეშე“, ისინი სამწუხაროდ, არასწორ ონფორმაციას ეყრდნობოდნენ: პალესტინა არ იყო „მიწა ხალხის გარეშე“. თანაც ჰერცლს, ალბათ იმის გამო, რომ თვითონ მხოლოდ ერთხელ იყო ნამყოფი პალესტინაშ, მიაჩნდა, რომ ადგილობრივი (მისი აზრით, მცირერიცხოვანი) არაბები უნდა მისალმებოდნენ [ევროპელი] ებრაელების

დასახლებას, რადგან მათ უფრო მაღალი სამეურნეო კულტურა მოჰქონდათ პალესტინაში: ასე აღწერა მან სიტუაცია თავის უტოპირ რომანში Altneuland.

სინამდვილეში პალესტინაში არც ისე მცირერიცხოვანი არაბული მოსახლეობა იყო. „პალესტინისათვის ებრაული სააგენტოს“ (სოხნუთის) 1947 წლის მემორანდუმის თანახმად 1919 წელს არაბული მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე შეადგენდა 515 ათასს, 1944 წლისათვის კი მისი რაოდენობა გაორმაგდა და 1064 ათასს მიაღწია, რაც ძირითადად ბუნებრივი მატების შედეგად მოხდა. [34]

მიწის მეტ ნაწილს კონკრეტული პატრონი ჰყავდა, უმეტესწილად გაფორმებული ოსმალური „თაფუ“ - თი (მიწის ფლობის დოკუმენტით), და მას კერძო პირები, ძირითადად არაბები, ფლობდნენ. მათგან შესყიდულ მიწებზე იქმნებოდა ებრაული დასახლებები. მიწის ნაწილი, განსაკუთრებით იერუსალიმში და სხვა ადგილებში, რომლებიც იესო ქრისტესთან იყო დაკავშირებული (ნაზარეთი, ბეთლემი, გალილეის ზღვის ანუ კინერეთის/ტიბერიადის ტბის მიდამოები და ა.შ.) ეკუთვნოდა სხვადასხვა ქრისტიანულ მიმართულებებს: ეს ხომ წმინდა მიწა იყო![35]

თავიდან, XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს პალესტინელი არაბების უმრავლესობა შედარებით ინდიფერენტულად იყო განწყობილი ებრაული იმიგრაციის მიმართ. ზოგმა მდიდარმა მიწათმფლობელმა, რომელიც ბეირუთში ან სხვაგან ცხოვრობდა, მიწა მიჰყიდა კერენ კაიემეთს და კერძო ებრაელ ფინანსისტებს. იყო ლოკალური დაპირისპირება, მაგრამ მასობრივ გამოსვლებში ეს არ გადაზრდილა.

XX საუკუნის მეორე დეკადიდან კი არაბულ-ებრაული ურთიერთობა მკვეთრ გაუარესებას იწყებს. სამანდატო პალესტინაშ ევროპელი ებრაელების იმიგრაციის მზარდმა მასშტაბმა არაბთა მრავალი ლოკალური ამბოხება, ხოლო 1936-1939 წლებში დიდი ანტიბრიტანული აჯანყებაც კი გამოიწვია.

ახლოვდებოდა მეორე მსოფლიო ომი. დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ცდილობდნენ გაემაგრებინათ საკმაოდ არასაიმედო ზურგი ახლო აღმოსავლეთში.

[34] გაჩეჩილაძე, რ.(2011). ახლო აღმოსავლეთი, თბილისი 2008 წ. გვ. 458-490

[35] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი (ხალხი, სივრცე და პოლიტიკა). თბილისი, 2019.გვ. 251-252

საფრანგეთი წავიდა დათმობაზე თურქეთის მიმართ და გადასცა მას სამანდატო სირიაში შემავალი ალექსანდრეტას სანჯაყი . დიდი ბრიტანეთი დაინტერესებული იყო „ეყიდა მშვიდობა“ პალესტინაში, კერძოდ, არაბებისაგან. [36]

ამიტომაც დიდი ბრიტანეთის მთავრობამ 1939 წლის მაისში გამოაქვეყნა მორიგი „თეთრი წიგნი“, რომელშიც სენტ ჯეიმზის კომფერენციაზე წარდგენილი თავისი გეგმა გამოამზეურა. საბოლოო მიზნად იქნა გამოცხადებული, 10 წლის შემდეგ დამოუკიდებელი ერთიანი პალესტინის სახელმწიფოს შექმნა, ხოლო მიმდინარე ამოცანად - ებრაული იმიგრაციის ისე შეზღუდვა (ხუთი წლის განმავლობაშ არა უმეტეს 75 ათასისა) , რომ ებრაელთა რაოდენობას ქვეყნის საერთო მოსახლეობის 1/3 -სათვის არ გადაეჭარბებინა. ებრაელების მიერ მიწის შეძენა ზოგ რაიონში აიკრძალა, ზოგან - შეიზღუდა.

ლონდონის გეგმამ გარკვეულწილად დააკმაყოფილა პალესტინის არაბები. მათი აჯანყება ჩაცხრა და მის დროს ანტიბრიტანული აქტივობა მათ დიდად არ გამოუჩენიათ, თუმცა მათი ელიტის პროგერმანული განწყობა ძნელად იფარებოდა.

ამის საპირისპიროდ, „თეთრმა წიგნმა“ სიონისტების დიდი აღშფოთება გამოიწვია: ნაციზმის წინსვლა ევროპაში და უკვე დაწყებული ებრაელთა გენოციდი დაუცველად და მიუსაფრად ტოვებდა მილიონობით ადამიანს. ამიტომაც ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1948 წ. 14 მაისი) მისი მთავრობის ერთ-ერთი უპირველესი აქტი იყო 1939 წლის „თეთრი წიგნით“ ებრაული იმიგრაციისათვის დაწესებული შეზღუვების გაუქმება.

მაგრამ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სიონისტებს ესმოდათ, რომ დიდი ბრიტანეთის მტერი ერთდროულად მათი დაუძინებელი მტერიცაა. ბევრი ებრაელი იბრძოდა ბრიტანული არმიის შემადგენლობაში (ამან მათ სათანადო წვრთნა მისცა, რაც ძალიან მალე გამოადგათ). ამიტომ, პალესტინაშ სიწყნარე იყო.

სამაგიეროდ, როგორც კი მსოფლიო ომი დამთავრდა, ბრიტანულ ადმინისტრაციას მოუხდა ბრძოლა იშუვის შეიარაღებულ ჯგუფებთან, რომლებიც ტერორიზმსაც არ ერიდებოდნენ. 1946 წელს აქ საინსპექციოდ ჩამოსულმა ფელდ

[36] გაჩეჩილაძე, რ.(2011). ახლო აღმოსავლეთი, თბილისი 2019 წ. გვ. 259

მარშალმა მონტგომერიმ, ელ-ალამეინის გმირმა კატეგორიულად მოითხოვა „ებრაული ტერორიზმის ამოძირკვა“ სამხედრო ძალის გამოყენებითაც. მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე, ძალის ჭარმა გამოყენებამ უკურეაქცია გამოიწვია.[37]

მიუხედავად 1939 წელს შემოღებული შეზღუდვებისა, მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ ალესტინაში გრძელდებოდა ებრაელთა არალეგალური იმიგრაცია. თუ 1920 წელს აქ ცხოვრობდა 67 ათასი ებრაელი, 1947 წლისათვის მათმა რაოდენობამ 600 ათასს მიაღწია. ამოსულთა უმრავლესობა ნაციზმს გადარჩენილი ადამიანები იყო, რომლებიც თავის უკანასკნელ თავშესაფარს ხედავდნენ პალესტინაში.

პროგრესული სამყარო მაქსიმალურ თანაგრძნობას გამოხატავდა ებრაელი ხალხის მიმართ, რომელმაც ნაცისტური პოლიტიკის გამო დაკარგა ექვს მილიონამდე ადამიანი.

1947 წლის თებერვალში დიდმა ბრიტანეთმა აღიარა, რომ მანდატი პალესტინაზე და მისი ვალდებულებები, აღებული პალესტინის ორი თემის მიმართ, პრაქტიკულად შეუსრულებადი გახდა. პალესტინის შენარჩუნება დიდ ბრიტანეთს მხოლოდ თავის ტკივილს უჩენდა. ამიტომაც მისმა ლეიბორისტულმა მთავრობამ გადაწყვიტა, უარი ეთქვა მანდატზე და პალესტინის პრობლემის მოგვარება გაეროსათვის მიენდო.

1947 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასმბლეამ მიიღო რეზოლუცია 181 (II), რომლითაც რეკომენდაცია მისცა პალესტინის ორ სახელმწიფოდ გაყოფას, იერუსალიმის კი ცალკე რაიონად გამოყოფას. ეს უკანასკნელი უნდა გამხდარიყო საერთაშორისო კონტროქვეშ მყოფი ქალაქი. როგორც ებრაული ისე არაბული სახელმწიფო რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა და ანკლავები უნდა ჰქონოდა. უწყვეტი ხაზით ორი სახელმწიფოს გამიჯვნა ვერ ხერხდებოდა.

გაეროს რეზოლუციის თანახმად, ებრაულ სახელმწიფოს რჩებოდა სამანდატო პალესტინის ტერიტორიის (იერუსალიმის გარეშე) 56, 47 პროცენტი, სადაც ცხოვრობდა 498 ათასი ებრაელი 325 ათასი არაბი.ამ სახელმწიფოს უნდა

[37] გაჩეჩილაძე, რ.(2011). ახლო აღმოსავლეთი, თბილისი 2019 წ. გვ.155

ჰქონოდა ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელი ქ. ისდუდის (დღევანდელი აშდოდი) ჩრდილოეთით ქ. ხაიფამდე; ქ. ჯაფა (დღევანდელი იაფო) არაბული ანკლავი უნდა გამხდარიყო.

პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს ექმნას მხარს უჭერდა მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობა, გასაკუთრებით აშშ, ლათინური ამერიკისა და ევროპის ქვეყნები. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის უბედურება და ტანჯვა, რაც ევროპის ებრაელობამ გადაიტანა მეორე მსოფლიო ომის დროს. ევროპის ქვეყნებშ დიდხანს არსებობდა „დანაშაულის კომპლექსი“ ჰოლოკოსტთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ ანტიებრაულ აქციებშ გერმანელ ნაცისტებთან ერთად სხვა ევროპული სახელმწიფოების ნაციონალისტურ წრეებსაც ერიათ ხელი. ებრაული სახელმწიფოს შექმნისათვის მხარდაჭერით ევროპის დემოკრატიულ რეჟიმებს უნდოდათ , ერთგვარად მენანიებინათ თავისი ავისმქნელი თანამემამულეების ცოდვა.

პალესტინის გაყოფას, ანუ არაბულთან ერთად ებრაული სახელმწიფოს შექმნას, საკმაოდ მოულოდნელად მხარი დაუჭირდა და გაეროს რეზოლუციას ხმა მისცა საბჭოთა კავშირმაც,რომელიც 1947 წლამდე მოითხოვდა პალესტინაზე ბრიტანული მანდატის გაუქმებას და იქ „ ერთიანი დემოკრატიული“ სახელმწიფოს შექმნას.[38]

იმდროინდელი დიპლომატიური მიმოწერის გაცნობა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საბჭოთა კავშირს იმ დროს არ ჰქონოდა გამოკვეთილი პოლიტიკა რეგიონში. საბჭოთა დიპლომატები სტალინის გულის მოგებას ბრიტანული იმპერიალიზმის „დამცირებით“ ცდილობდნენ, ვინაიდან საბჭოეთის ბელადს მთავარ მტრად ძველებურად დიდი ბრიტანეთი მიაჩნდა.

2.2. პალესტინის ტერიტორიის ფაქტობრივი გაყოფა და მისი შედეგები.

[38] ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007. გვ. 154

ებრაელებმა პალესტინის გაყოფის გეგმა მიიღეს. მართალია, სიონისტ ლიდერებს მთელ პალესტინაზე ჰქონდათ პრეტენზია, მაგრამ ტაქტიკური მოსაზრებით, ეს კომპრომისული გადაწყვეტილებაც მისაღებად მიიჩნიეს.

არაბებმა კი პალესტინის გაყოფის გეგმა არ მიიღეს. მათ საერთოდ არ უნდოდათ აქ ებრაული სახელმწიფოს ხილვა. გაყოფის კონკრეტული გეგმაც მათ უსამართლოდ ჩათვალეს (არაბები მოსახლეობის 2/3 -ზე მეტი იყვნენ, მაგრამ მათ ნახევარზე ნაკლებ ტერიტორიას სთავაზობდნენ). არაბული ქვეყნების ლიგამ, რომელიც 1945 წელს დაარსდა, დაიწყო მოხალისეთა ნაწილების ფორმირება და პალესტინაში შეგზავნა. არაბი ლიდერების ეს მაქსიმალიზმის საბოლოოდ ძალიან ძვირად დაუჯდათ პალესტინელ არაბებს.

ნათელი იყო, რომ მორიგება არაბებსა და ებრაელებს შორის შეუძლებელია. ორივე მხარე გამალებით იარაღდებოდა, იქმნებოდა გამაგრებული ადგილები, იწვრთნებოდნენ გასამხედროებული ნაწილები. აღსანიშნავია, რომ ებრაულ თემს ბევრად უკეთესი სამხედრო ინსტრუქტორები და, თუნდაც უფრო მცირერიცხოვანი, მაგრამ მორალურ - ფსიქოლოგიურად უკეთ მომზადებული რიგითი შემადგენლობა ჰყავდა.[39]

უკვე 1948 წლის დასაწყისიდან დაიწყო თემთაშორისი შეტაკებები საგრძნობი მსხვერპლით (დაღუპულთა უმრავლესობა არაბი იყო). მოსალოდნელი იყო ომი გარედან იტერვენციით, მით უმეტეს, რომ პალესტინის გაყოფის კონკრეტული მექანიზმი არ შემუშავებულა და რეალურად არავინ იღებდა პასუხისმგებლობას ამ მტკივნეულ აქციაზე.[40]

ასეთ პირობებში ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა გადაწყვიტეს შეეჩერებინათ პალესტინის გაყოფის რეზოლუციის ამოქმედება და გაეროს სხდომაზე დააყენეს ეს წინადადება.

---

[39] გაჩეჩილაძე, რ. ახლო აღმოსავლეთი-გეოპოლიტიკა. თბილისი 2019წ.გვ. 115

[40] გაჩეჩილაძე, რ.(2011). ახლო აღმოსავლეთი, თბილისი 2008 წ. გვ. 125-135

Evron, B. (1995). *Jewish state or Israeli Nation?* Bloominghton and Indianapolis: Indiana University Press. P. 15-21

მაგრამ საბჭოთა კავშირმა და მისმა სატელიტებმა ყველაფერი იღონეს, რათა გაეროს ვერ მიეღო ეს წინადადება და ძალაში დარჩენილიყო 1947 წლის 181-ე რეზოლუცია. ასეც მოხდა.

1948 წლის 14 მაისს ებრაულმა სახელმწიფომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ისრაელი დაირქვა სახელად. უკვე 15 მაისს კი ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი დაიწყო არაბული ქვეყნების ლიგამ(ეგვიპტე, სირია, ლიბანი, ტრანსიორდანია, ერაყი). ფაქტობრივად, ლიბანს ათეულიც არ გამოუგზავნია, ერაყი კი ორიოდე ბატალიონის გამოგზავნით დაკმაყოფილდა.

ჯერ კიდევ ომამდე (1948 წლის აპრილში) საბჭოთა კავშირის სატელიტ ჩეხოსლოვაკიაში შეძენილი „მესერშმიტის“ ტიპის თვითმფრინავებით ისრაელმა იმავე წლის მაისის ბოლოს ეგვიპტის არმიის საჰაერო უპირატესობას ხაზი გადაუსვა [JP, May 23, 2002] . უნდა ითქვას, რომ სტალინის ნებართვით, ჩეხოსლოვაკიამ მიჰყიდა საკმაოდ ბევრი და კარგი ხარისხის საჭურველი ისრაელს, რამაც მას საბოლოოდ ომი მოაგებინა.

ისრაელის სამხედრო ნაწილები თავდადებით იბრძოდნენ, მათ ძლიერი მოტივაცია ჰქონდათ: წყდებოდა არა მარტო ებრაული სახელმწიფოს, არამედ საერთოდ პალესტინის იშუვის ყოფნა - არყოფნის საკითხი. არაბული ქვეყნების არმიების საბრძოლო მოქმედება კი ერთმანეთთან ცუდად კოორდინირებული და ნაკლებ ეფექტიანი გამოდგა. რაოდენობრივად მებრძოლი მხარეები დიდად არ განსხვავდებოდნენ: ისრაელის მხარემ 25-30 ათასი ჯარისკაცი გამოიყვანა; არაბული ქვეყნების საინტერვენციო ნაწილები კი ჯამში 30-35 ათასს ითვლიდნენ [Фромер, 2003] . მაგრამ ამ უკანასკნელთ , თავიდან მაინც, მეტი იარაღი ჰქონდათ. ისრაელის არმიას კი, ომის პირველ ეტაპზე , სამხედრო შეიარაღება აკლდა. ამიტომაც იყო, რომ 1949 წლის დაზავების შემდეგ ისრაელმა უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭა ქვეყანაში საკუთარი სამხედრო ინდუსტრიის განვითარებას და დიდ წარმატებას მიაღწია ამ მიმართულებით.

1949 წელს ცეცხლის შეწყვეტაზე დათანხმებისათვის პალესტინელები არაბულ ქვეყნებს ღალატში სდებდნენ ბრალს. მაგრამ ბრძოლის გაგრძელებას შეეძლო უფრო მეტი ტერიტორიული შენაძენი მოეტანა ისრაელისათვის.

არაბებს შორის წარმატებით იბრძოლეს მხოლოდ ტრანსიორდანიის ნაწილებმა.მათ დაიკავეს აღმოსავლეთ იერუსალიმი (ძველი ქალაქითურთ) , ისტორიული იუდეა და სამარია („დასავლეთ ნაპირი“).

არსებობს აზრი , რომ იორდანიის მეფე აბდალას ფარული გარიგება ჰქონდა სიონისტებთან . ფაქტია, რომ 1950 წელს იორდანიამ (ეს სახელი მან 1949 წელს დაირქვა) თავისი იურისდიქცია გაავრცელა ფაქტობრივად დაკავებულ ტერიტორიაზე, ანუ მოახდინა პალესტინის არშექმნილი არაბული სახელმწიფოს ამ ნაწილის, მათ შორის ძველი იერუსალიმის, ანექსირება.

ღაზას სექტორი ეგვიპტის სამხედრო ადმინისტრაციას დაექვემდებარა: ეგვიპტემ,იორდანიისაგან განსხვავებით, არ შეიერთა პალესტინის ეს ნაწილი.

ისრაელმა დაიკავა არაბული სახელმწიფოსათვის გათვალისწინებული ტერიტორიის თითქმის ნახევარი (სამხრეთით - სანაპირო ზოლო თითქმის ღაზამდე, ჩრდილოეთით - ლიბანის საზღვრამდე, აგრეთვე ზემო გალილეა).

ქ. იერუსალიმის დასავლეთი ნაწილი ისრაელის ხელშ გადავიდა. მომდევნო 19 წლის განმავლობაშ ეს იყო გაყოფილი ქალაქი, ეკლიანი მავთულხლართებით ქუჩებსა და პარკებში.

ამრიგად, 1948-49 წწ. დამოუკიდებლობისათვის ომის შემდეგ, ისრაელის სახელმწიფოს ფაქტობრივად „სამანდატო პალესტინის“ ტერიტორიის 78 პროცენტი დარჩა.

არაბული სახელმწიფო არ შექმნილა.გაერო, რომელმაც არ აამოქმედა არავითარი რეალური მექანიზმი პალესტინის გაყოფის შესახებ საკუთარი რეზოლუციის შესასრულებლად, რამდენიმე შეუსრულებადი დადგენილებით დაკმაყოფილდა. მომდევნო ორი ათეული წლის განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოებამ არაბული სახელმწიფო პალესტინაში საერთოდ დაივიწყა.

2.3. ისრაელ-არაბული ქვეყნების ომები. ტერიტორიული ფაქტორი, როგორც კონფლიქტის დასაწყისის მნიშვნელოვანი პრობლემა.

ისრაელის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ბრიტანელები გავიდნენ პალესტინიდან. 1948 წლის 15 მაისს ხუთი არაბული ქვეყნის (ეგვიპტე, ტრანსიორდანია, ლიბანი, სირია და ერაყი) ჯარები, რომლებიც მიისწრაფოდნენ არ დაეშვათ ებრაული სახელმწიფოს შექმნა , შევიდნენ პალესტინის ტერიტორიაზე. დაიწყო ისრაელისა და არაბული ქვეყნების პირველი ომი, რომელმაც ისრაელში მიიღო სახელწოდება „ომი დამოუკიდებლობისათვის“, ხოლო არაბულ ქვეყნებში - „პალესტინური ომები“. ომში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე არაბულმა ქვეყანამ, მაგრამ მათი შეიარაღებული ძალები, იორდანიის არმიის გამოკლებით, წარმოადგენდნენ არაორგანიზებულ და ცუდად შეიარაღებულ ფორმირებას.

საბრძოლო მოქმედებების ფონზე, რომელმაც განამტკიცა პალესტინის დაყოფის საკითხზე სკეპტიკოსთა შიში, გაერო-ს შუამავალმა პალესტინის საკითხზე გრაფმა ბერნადოტმა (შვედეთის წარმომადგენელმა) 1948 წ. ივნისში გაერო-ს 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციას უწოდა წარუმატებელი და მოითხოვა მისი გადახედვა. ბერნადოტის გეგმა ითვალისწინებდა პალესტინის აღდგენას 1922წ. საზღვრებში (ტრანსიორდანიის გამოყოფამდე) უნიტარული სახელმწიფო წარმონაქმნის სახით და 2 სახელმწიფოს გამოყოფას - ებრაულის და არაბულის, როგორც ერთიანი კავშირის წევრების. ნეგევი გადაეცემოდა არაბებს, ხოლო გალილეა - ისრაელს. პალესტინელი ლტოლვილები ბრუნდებოდნენ სახლში და იბრუნებდნენ თავიანთ ქონებას. იერუსალიმი, გეგმის მიხედვით, შევიდოდა არაბული სახელმწიფოს შემადგენლობაში. ხაიფას პორტი და აეროპორტი ლოდი ხდებოდა თავისუფალი ზონები. წინადადება უარყო ორივე მხარემ. ებრაელები ისედაც აკონტროლებდნე დასავლეთ გალილეას, ნეგევის ჩამოჭრა კი ნიშნავდა ისრაელის ტერიტორიის 2/3 დაკარგვას. ტრანსიორდანიის შეერთება პალესტინის არაბულ ნაწილად ნიშნავდა ამ უკანასკნელის გადასვლას ინგლისელთა კონტროლის ქვეშ, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ტრანსიორდანიის მეფე აბდალაჰ იბნ ალ-ჰუსაინთან. სირიას, ეგვიპტეს და ერაყს არ სურდათ ტრანსიორდანიის გაძლიერება პალესტინის (ნეგევით) ხარჯზე. ამასთან ერთად, სიონისტები პრინციპში არ იყვნენ წინააღმდეგი ამ ვარიანტისა იმ

შემთხვევაში, თუ შეძლებდნენ მოლაპარაკებას აბდალაჰ იბნ ალ-ჰუსაინთან ისრაელისთვის გალილეის და ნეგევის დატოვების შესახებ.

გაეროს-ს შუამავლის მიერ შემუშავებული წინადადებები გააგზავნეს უშიშროების საბჭოში 1948 წლის 16 სექტემბერს, ხოლო 20 სექტემბერს ჩართულ იქნა გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიის დღის წესრიგში. ბერნადოტის გეგმა ცვლილებებით და დამატებებით, ითვალისწინებდა შემდეგ პუნქტებს : დაედასტურებინათ ისრაელის სახელმწიფოს არსებობა, მოეწოდებინათ მხარეებისათვის გადაეწყვიტათ დავები მშვიდობიანად, დამტკიცებინათ არაბი ლტოლვილების უფლება დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში, განესაზღვრათ იერუსალიმის სტატუსი.

ინგლისი პირობას დებდა, რომ დე იურე აღიარებდა ისრაელს ბერნადოტის გეგმის მიღების შემთხვევაში. აშშ-ის წარმომადგენლებიც პირდებოდნენ დე იურე აღიარებას და სესხის მიცემას ებრაული მხარის თანხმობის შემთხვევაში. თვით ბერნადოტი მოკლეს ლეჰის ჯგუფის ტერორისტებმა 1948 წ. 17 სექტემბერს. ისრაელის მიერ ბერნადოტის გეგმის არ მიღების მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა : ნეგევის დაკარგვა სრაელის დანარჩენ ნაწილს წყვეტდა აკაბას ყურიდან და მკვდარი ზღვიდან, ირაელს აწყობდა იერუსალიმის საერთაშორისო სტატუსი, მაგრამ ებრაული ნაწილი უნდა მიკუთვნებოდა ისრაელს და დაკავშირებული ყოფილიყო ქვეყნის დანარჩენ ნაწილთან ფართო დერეფნით. თუმცა, ისრაელის არმიის წარმატებულმა მოქმედებებმა თავისი კორექტივები შეიტანა.

გაერო-ს უშიშროების საბჭომ, რომელიც ცდილობდა შეეჩერებინა საომარი მოქმედებანი, მიიღო ორი რეზოლუცია 1948 წლის 4 და 13 ნოემბერს, რომლებშიც მოითხოვა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა დაპირისპირებული მხარეებისაგან.

1949 წლის პირველ ნაევარში არაბული ქვეყნები და ისრაელი დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან კუნძულ როდოსზე. 1949 წ. 24 თებერვალს ისრაელმა ხელი მოაწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე ეგვიპტესთან. 23 მარტს - ლიბანთან, 3 აპრილს- ტრანსიორდანიასთან, და 20 ივლისს - სირიასთან.

გავლებულ იქნა სადემარკაციო ხაზი-მწვანე ხაზი- ერთი მხრივ , ისრაელსა და მეორე მხრივ , ლიბანს , სირიას, იორდანიას (იორდანიის მიერ ოკუპირებულ მდ. იორდანეს დას. ნაპირის ჩათვლით), ეგვიპტეს (ეგვიპტის მიერ ოკუპირებული ღაზას სექტორის ჩათვლით) შორის. 1967 წლის „ექვსდღიან ომამდე“ მწვანე ხაზი არსებობდა, როგორც ცეცხლის შეწყვეტის ხაზი, ხოლო მის შემდეგ შეიძინა პოლიტიკური სტატუსი, რამდენადაც გაერო ოკუპირებულად თვლის ისრაელის კონტროლირებად ტერიტორიებს ამ ხაზს გარეთ. [41]

ომი გაგრძელდა 1 წელი 3 თვე და 10 დღე. ეს ომი ისრაელს დაუჯდა 500 მლნ.აშშ დოლარი, ხოლო არაბებს - 300 მლნ. აშშ დოლარი. ომის შედეგები არ იყო მანუგეშებელი არაებისათვის. გაერო-ს გადაწყვეტილებების მიუხედავად, პალესტინის ტერიტორიაზე არაბული სახელმწიფო არ შექმნილა - ირაელმა ოკუპირება მოახდინა პალესტინის ტერიტორიის თითქმის 77 %-ისა , ისე როგორც იერუსალიმის დიდი ნაწილის , დანარჩენი მიიტაცეს იორდანიამ და ეგვიპტემ. ომის შედეგად, ისრაელის ტერიოტირა გაიზარდა 46 ,4 % -ით.

არაბული ქვეყნებისა და ისრაელის პირველ ომში არაბული არმიების დამარცხების მიზეზი გახდა არა მარტო ეკონომიკური და სახელმწიფო ჩამორჩენილობა , არამედ პალესტინის საკითხზე ერთიანი პოლიტიკის არ ქონაც. არაბების დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად თვლიდნენ აგრეთვე იორდანიელთა და მეფე აბდალაჰ იბნ ალ-ჰუსაინის მოქმედებებს, რომელიც პირველ რიგში , დაინტერესებული იყო თავისი ტერიტორიის გაფართოებით პალესტინის ხარჯზე და არა პელესტინელი არაბების სახელმწიფოს შექმნით.[42]

არაბული ქვეყნების მოქმდებებში ერთაინობის არქონამ, როგორც სტრატეგიულ ისე ტაქტიკურ დონეზე, გამოიწვია მათი დამარცხება.ამ მარცხის შედეგად მათი მთავარი მიზანი -არ დაეშვათ ისრაელის სახელმიწიფოს შექმნა- განუხორციელებელი დარჩა: არაბული არმიები დამარცხდა , ხოლო ისრაელი არათუ „ არ აღიგავა გეოგრაფიული რუკიდან“ , არამედ გაზარდა კიდეც თავისი ტერიტორია (სულ 1300 კმ 2 და 11 დასახლებული პუნქტი) ; ისრაელის

[41] 1Bregman, Ahron. Israel's Wars, 1947-1993.London and New York: Routledge, 2000. P. 14-15

[42] ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007. გვ. 670-674

სახელმწიფომ ხელი მოაწერა შეთანხმებებს თითქმის ყველა მოსაზღვრე არაბულ ქვეყანასთან; პალესტინის სახელმწიფო არ შექმნილა; პალესტინელი არაბების დიდი ნაწილი ლტოლვილებად იქცა; წარსულში ჩაბარდა იდეა იერუსალიმზე საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ.[43]

სუეცის კრიზისი / 1956 წლის სინას კამპანია

1956 წელს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გამწვავება , სუეცის კრიზისის სახით, დაკავშირებული იყო ეგვიპტესთან და ატარებდა სამხედრო ხასიათს, მაგრამ განსხვავდებოდა ყველა მომდევნო არაბულ-ისრაელური კონფლიქტისაგან, რადგანაც მასში არაბების და ისრაელელების გარდა მონაწილეობდნენ ევროპული ქვეყნების - დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის არმიები. ეგვიპტემ, 1948 -1949 წწ. არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომის შემდეგ, კონტროლი დაამყარა ქ. ღაზას მოსაზღვრე ტერიტორიაზე, როგორც იყო მითითებული ისრაელსა და ეგვიპტეს შორის 1949 წლის თებერვალში დადებულ შეთანხმებაში. ხმელთაშუა ზღვის გასწვრივ ვიწრო ზოლს (დაახლ.360 კვ.კმ) ეწოდა ღაზას სექტორი. ღაზას მოსახლეობა გაიზარდა ისრაელის ტერიტორიიდან ლტოლვილთა ნაკადების გამო - 80 ათასიდან 1948 წ. 245 ათასამდე 1950 წ, 1951 წლის ივლისში იერუსალიმის მუფთის ჰაჯ ამინ ალ-ჰუსაინის აგენტებმა იერუსალიმის ტაძრის მთაზე ალ - აკსას მეჩეთის საფეხურებზე , მოკლეს იორდანიის მეფე აბდალაჰ იბნ ალ-ჰუსაინი, რომელიც საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა ისრაელთან. მასთან ერთად იყო მისი შვილიშვილი ჰუსაინი, რომელიც 1 წლის შემდეგ იორდანიის მეფედ ეკურთხა.ეგვიპტეში ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნუკრაშ ფაშა მოკლეს, 1949 წლის სირიაში გენერალმა ჰუსნი აზ ზაიმმა მთავრობა დაამხო. ღაზას პალესტინელებმა ვერ მიირეს ეგვიპტის მოქალაქეობა და მათი გადასვლა ეგვიპტის ტერიტორიაზე შეზღუდული იყო - ლტოლვილთა ნაკადი გააღრმავებდა ეგვიპტეში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს. 1952 წლის 23 ივლისს რევოლუციის შემდეგ ეგვიპტეში დაემხო მონარქია და დაიწყო ქვეყნის ისტორიაში ახალი, რესპუბლიკური

[43] Bregman, A. (2000). *Israel's Wars, 1947-1993.* London and New York: Routledge, p. 158

პერიოდი. ქვეყნის ახალმა ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა რთული სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, არმიის მოდერნიზაცია, ბრიტანეთის კოლონიური მეურვეობისაგან განთავისუფლება და პალესტინის საკითხის გადაწყვეტა. [44]

ეგვიპტისათვის მნიშვნელოვანი მვლენა იყო „ ღაზაზე ლაშქრობა“,როდესაც 1955 წ. 28 თებერვალს ისრაელის არმია თავს დაესხა ეგვიპტის არმიის ღაზაში განლაგებულ გარნიზონს. ერთი შეხედვით უმნიშვნელო ინციდენტს სერიოზული შედეგი მოჰყვა - ეგვიპტელი ჯარისკაცების სიკვდილმა და ისრაელელების დაუსჯელობამ დიდი რეზონანსი გამოიწვია და დატყმა მიაყენა ხელისუპლების ავტორიტეტს. აუცილებელი გახდა ეგვიპტის არმიის ბრძოლისუნარიანობის გაუმჯობესება. მოლაპარაკებები იარაღის მოწოდებაზე აშშ-თან , დიდი ბრიტანეთთა და საფრანგეთთან წარუმატებლად დასრულდა. აშშ და დიდი ბრიტანეთი ამის სანაცვლოდ ითხოვდნენ ეგვიპის მონაწილეობას ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში (მედო, ბაღდადის პაქტი), რომლებიც მიმართული იყო სსრკ-ის წინააღმდეგ. საფრანგეთი უკმაყოფილო იყო ნასერის რეჟიმის მხარდაჭერით არაბულინაციონალურ - განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ალჟირში. [45]

სსრსკ-მა რამდენჯერმე განაცხდა, რომ მხარს დაუჭერდა ეგვიპტის პოზიციას სუეცის არხის საკითხზე. საბჭოთა პოზიციაც ნაკარნახევი იყო პრაქტიკული მოსაზრებებით : კონფლიქტი ეგვიპტესა და დსვლეთის ქვეყნებს შორის საბოლოოდ გამოიყვანდა ეგვიპტეს ბრიტანული კონტროლიდან, სსრს-კი კიიღებდა მოკავშირეს არაბულ აღმოსავლეთში და რაც მთავარია მოწყვეტდა , სამხრეთ „ სანიტარულ კორდონს“ ბაღდადის პაქტის სახელმწიფოებიდან, რომელიც აღმართეს ინგლისელებმა და ამერიკელებმა სსრკ-ის საზღვრის გასწვრირვ.

1956 წლის 16 აგვისტოს გაიხსნა კონფერენცია, სადაც განიხილებოდა სუეცის არხის მომავლის საკითხი და დაახლოებით 50 ქვეყნიდან, რომლებიც

---

[44] ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007. გვ. 671-678

[45] Kissinger , 1994 : 529; Rsse-Kappen, 1995 : 85

სარგებლობდნენ სუეცის არხით, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 22 ქვეყანამ - უმრავლესობა იყო პროამერიკული სამხედრო ბლოკების მონაწილე. საბჭოთა კავშირის ელაგაციამ კონფერენციის დასაწყისშივე ყურადღება გაამახვილა , რომ ეგვიპტის გარეშე (ეგვიპტემ უარი განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობაზე) შეუძლებელი იქნებოდა „ სუეცის საკითხის „ გადაწყვეტა. ამასთან, სუეცის არხი, საბჭოთა დელეგაციის განცხადებით ნაციონალიზაციის გამოცხადების შმედეგ ფუნქციონირებდა უწინდელ რეჟიმში, რაც უსაფუძვლოს ხდიდა ეგვიპტისადმი ბრალდებებს. [46]

1956 წლის 24 ოქტომბერს დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უმაღლესი დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლები აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრები ფარულად შეხვდნენ პარიზის გარეუბან სევრში, ისრაელის უმაღლესი ხელმძღვანელობის დელეგაციას (დავით ბენ გურიონი , მოშე დაიანი და შიმონ პერესი) . სამმა სახელმწიფო შეთანხმებას მიაღწია და შედგა სევრის ოქმი: ისრაელი, ეგვიპტის მუქარის საპასუხოდ, დარტყმას მიაყენებდა სინას ნახევარკუნძულს სურეცის არხის მიმართულებით. ამას მოჰყვებოდა ინგლისისა და საფრანგეთის ნოტა ეგვიპტისადმი და ისრაელისადმი მოთხოვნით შეეწყვიტათ ცეცხლი და გაეყვანათ არმია არხიდან 10 კმ-ის მოშორებით. ამ შემთხვევაში ინგლისი და საფრანგეთი სამშვიდობო მისიის სახით გადასხამდა დესანტს სუეცის არხის დასაკავებლად. მოკავშირეთა ქმედებები ეთანხმებოდა 1954 წლის ხელშეკრულების პუნქტს- საფრთხის წარმოშობა ნებას რთავდა ინგლისს შეეყვანა არმია. ეგვიპტის უარის შემტხვევში იგეგმებოდა ომის წარმოება გამარჯვებამდე სამი სახელმწიფოს ძალებით. სევრის ოქმი საიდუმლოდ დარჩა დაახლოებით 40 წლის განმავლობაში . [47]

ისრაელს ჰქონდა საკმარისი მიზეზი , რათა მიეღო მონაწილეობა ინგლისურ - ფრანგულ კამპანიაში ეგვიპტეში ნასერის დამხობის მიზნით: უპირველეს ყოვლისა, ჯერ კიდევ 1950 წლის ივლისიდან ეგვიპტემ დააწესა აკრძალვა გემების გატარებაზე, რომლებსაც ტვირთი მიჰქონდათ ისრაელში და დაბლოკა ისრაელის

[46] ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007. გვ. 16

[47] Felton, John. The Contemporary Middle East: a Documentary History. New York: SQ Press, 2008, p. 18

გემებისათვის ტირანის სრუტე. მეორე მხრივ, ისრაელს სურდა ბოლო მოეღო პალესტინელთა ბანაკებიდან პარტიზანების (ფედაიანთა) თავდასხმებისათვის ღაზას სექტორში. მესამე, ეგვიპტეში რეჟიმის შეცვლას შეიძლებოდა გამოეწვია სოციალისტური ქვეყნებიდან შეიარაღების შეყიდვაზე ხელშეკრულებების დენონსაცია. ისრაელს სჭირდებოდა ომი ეგვიპტესთან , რომელშც გამარჯვებას აღუთქვამდნენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.

სინას კამოანიის შემდეგ ისრაელმა მიიღო თავისუფალი ზღავოსნობის უფლება ეილათის ყურეში და ტირანის სრუტეში და მათი საშუალებით მეწამულ ზღვაშიც. კანადის მთაბრობის ინციატივით შეიქმნა გაეროს „საგანაგებო ძალები“ . მართალია, ისრაელი ცდილობდა შეენარჩუნებინა ომის დროს დაპრობილი მნიშვნელოვანი რაიონები - შარმ აშ-შაიხი და ღაზას სექტორი, მაგრამ აშშ-მა აიძულა გაეყვანა არმია ამ რაიონებიდან, რის სანაცვლოდაც მიიღო ისრაელმა ტირანის სრუტეშ ნაოსნობის გარანტია. ღაზას სექტორი და შარმ აშ-შაიხი გადადიოდა გაერო-ს საგანგებო ძალების კონტროლქვეშ. ისრაელმა თანდათან გამოიყვანა არმია იმ პირობით, რომ სამშვიდობო დარეგულირებამდე სექტორშ დარჩებოდა გაერო-ს ძალები. ამასთან, ის იტოვებდა თავისუფალი მოქმედებების უფლებას მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში.

ღაზას სექტორის გაერო-ს კონტროლქვეშ გადაცემიდან ორი დღის შემდეგ , ნასერმა დანიშნა სამხედრო გუბერნატორი სექტორში, რომელიც გაერო-სთან შეუთანხმებლად , თავისი შტაბით გადავუდა ღაზაში. ეგვიპტის ზეწოლით გაერო-ს ჯარებმა დატოვეს ღაზას სექტორი და მისი საზღვრების გასწვრივ ახორციელებდნენ პატრულირებას. შედეგად ისრაელის ხომალდები ტავისუფლად გადადიოდნენ ტირანის სრუტეში.

1967 წლის 5 ივნისს ახლო აღმოსავლეთში გაჩაღდა არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ახალი ომი, რომელიც ისტორიაშ შევიდა ექვსდღიანი ომის სახელით და დამთავრდა ისრაელის სრული გამარჯვებით ეგვიპტეზე, სირიასა და იორდანიაზე. ამ ომს ჰქონდა სერიოზული შედეგები მთელი ახლო აღმოსავლეთის რეგიონისათვის. ეს იყო ახალი ეტაპი როგორც ისრაელის, ისე არაბული ქვეყნების ისტორიაში. მან განსაზღვრა ახლო აღმოსავლეთის შემდგომი განვითარება და

რეგიონის თანამედროვე რუკა, ზოგიერთი გამონაკლისით, მოხაზული იქნა ექვსდღიანი ომით.

ამერიკელი მკვლევარი მაიკლ ორენი თავი ვრცელ მონოგრაფიაში „ომის ექვსი დღე“ წერს : „ყველა მომდევნო კონფლიქტი და სამშვიდობო ინიციატივა- მომქანცველი ომი, იომ-ქიფურის ომი, „ შავი სექტემბერი“, ლიბანის ომი, შეთანხმებები კემპ- დევიდში , ოსლოში, ინთიფადა- ყველაფერი ეს იყო 1967 წლის ივნისის 6 დაძაბული დღის შედეგი“. [48]

ექვდღიან ომს წინ უძღოდა ლოკალური შეიარაღებული შეტაკებების და მძაფრი პოლიტიკური პოლემიკის სერია, უპირველეს ყოვლისა, გაერო-ს ჩარჩოებში.ისრაელის ხელმძღვანელობას სჭირდებოდა „ მცირე ძლევამოსილი ომი“ , ხოლო არაბული არმიები თავის მხრივ, მზად იყვნენ შური ეძიათ ისრაელზე ადრინდელი დამარცხებების გამო.

საბჭოთა იარაღის დახმარებით ეგვიპტის არმიის გამძლეობამ დაარწმუნა ეგვიპტის გენერალიტეტის სიძლიერეში და პრეზიდენტ ნასერს გაუჩნდა ისრაელზე უპირატესობის საშიში ილუზია. მართალია ეგვიპტის სამხედრო სიძლიერე გაიზარდა 1948 წელთან შედარებით , მაგრამ ისრაელი, თავის მხრივ, გადაიქცა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ (თუ არა უძლიერეს) სამხედრო ძალად რეგიონში.[49]

ეგვიპტის არმია მონაწილეობას ირებდა სამოქალაქო ომში იემენში, მხარს უჭერდა ანტიმონარქიულ ძალებს. არაბული სამყაროს მონარქიები კი ეხმარებოდნენ იემენელ როიალისტებს ნასერიზმისა და ეგვიპტური იპერიალისზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.ეგვიპტის არმიის იემენურ კამპანიას ისტორიკოსები ადარებენ ამერიკის ვიეტნამურ ომს (მას მოიხსენიებენ აგრეთვე სახელით-„ნასერის ვიეტნამი“). ამ ომმა ეგვიპტეს მოუტანა დიდი ფინანსური და ადამიანური დანაკარგები. 1967 წელს იემენის ომში მონაწილეობდა ეგვიპტის არმიის საუკეთესო ძალები- 50 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე.მათამ არყოფნამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ექვსდღიან ომზე. არაბული ქვეყნების

---

[48] Oren , 2003, 111-117

[49] ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007.გვ. 840-844

საერთო ანტიისრაელური რიტორიკის მიუხედავად , 60-იანი წლების შუახანებში არაბული სამყარო იყოფოდა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად- კონსერვატიულად, რომელიც აერთიანებდა არაბულ მონარქიულ რეჟიმებს საუდის არაბეთის მეთაურობით და რევოლუციურად, რომელშიც შედიოდნენ არაბული რესპუბლიკები ეგვიპტის მეთაურბით. როგორც ადრნდელი ომების წინ, ახლაც ერთიანობის არქონა სერიოზულად ასუსტებდა არაბთა „ ანტიისრაელურ კოალიციას „[50]

საკითხს - „ ვინ დაიწყო ომი?“ - ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამეცნიერო და პუბლიცისტურ ლიტერატურაში, რომლებიც ეძღვნება ექვსდღიანი ომის მიზეზების განხილვას.

ისრაელის მხარე ამ ომს უწოდებს პრევენციულს, ცდილობს დაადასტუროს, რომ ეგვიპტე თვითონ ამზადებდა ომს ისრაელის წინააღმდეგ. საყურადღებოა , რომ მოშე დაიანმა ამ ომის შემდეგ განაცხადა: „ წარსულში მრავალი ომი დაწყებულა მოულოდნელად,მაგრამ საეჭვოა, რომ ოდესმე ასე მოულოდნელი ყოფილიყო ისრაელის ისტორიაში, როგორც ეს [1967 წლის ომი]“[51]. მართალია ეგვიპტე მოითხოვდა გაერო-ს სამშვიდობოების გაყვანას სუეცის არხის ზონიდან და დაიწყო არმიის გადასროლა სინაზე, მაგრამ ეს ხდებოდა ისრაელის სირიასთან კონფრონტაციის პირობებში, რაც ქმნიდა სირია-ისრაელის ომის საფრთხეს, რომელშიც ეგვიპტელები მხარს დაუჭერდნენ სირიას.

ომმა , რომელიც გაგრძელდა სულ ექვსი დღე კარდინალურად შეცვალა გეოპოლიტიკური ბალანსი ახლო არმოსავლეთში. ისრაელმა მოიპოვა სრული გამარჯვება, გააფართოვა თავისი ტერიტორია 3.5 ჯერ, დაისაკუთრა სინას ნახევარკუნძული (60 000 კვ.კმ) , ღაზას სექტორი (360 კვ.კმ), იორდანიის კონტროლირებადი ტერიტორიები მდ. იორდანეს დას. სანაპიროზე, სირიის გოლანის მაღლობების ძირითადი ნაწილი. სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა კონტროლის გამყარებას:[52]. გაერო-ს N 181 - ე რეზოლუციით, იერუსალიმს უნდა

[50] Kamrava, Mehran. The Modern Middle East: A Politicalo History since the First World War. Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2005. P. 119
[51] Bregman, Ahron. Israel's Wars, 1947-1993.London and New York: Routledge, 2000. P. 18
[52] Felton, John. The Contemporary Middle East: a Documentary History. New York: SQ Press, 2008, P. 22

ჰქონოდა სტატუსი Corpus Separatum ,მაგრამ არაბული ქვეყნების და ისრაელის პირველი ომის დაწყების გამო ეს სტატუსი „ ქაღალდზე დარჩა“ და გაყოფილი იყო ისრაელსა და იორდანიას შორის 1967 წლამდე. იერუსალიმის საკითხი არის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა პალესტინა-ისრაელის ურთიერთობებში. ისრელის კონტროლი იერუსალიმზე (არაბ. ალ - კუდს) გახდა ერთ-ერთი მთავარი ფაქტი არაბთა იდეოლოგიურ ომში. მართალია, ისრაელის ადმინისტრაცია აცხადებდა , რომ არ ჩაერეოდა წმინდა ადგილების მართვაში, რომელსაც ახორციელებდა იერუსალიმის 3 რელიგირუი თემი, საკუთრივ წმინდა ქალაქზე არამუსლიმთა კონტროლი მუსლიმების მიერ დამცირებად აღიქმებოდა. ისრაელმა ომის დამთავრებისთანავე შეიერთა აღმოსავლეთ იერუსალიმი, რის შემდეგაც 1967 წლის 28 ივნისს გაერთაინებული ქალაქი იერუსალიმი გამოცხადდა ისრაელის ერთიან და განუყოფელ დედაქალაქად. მოგვიანებით ქალაქის ეს სტატუსი დაფიქსრიდა 1980 წლი 5 ივნისს მირებულ ქვეყნის ძირითად კანონში (მუხლი 1).

მომქანცველ ომში ისრაელი იბრძოდა სამ ფრონტზე . ერთ-ერთი იორდანიის ფრონტი იყო , სადაც განსაკუთრებით ინტენსიური ბრძოლები მდ. იორდანეს ველის ჩრდილოეთ ზონაში მიმდინარეობდა. ძირითადად, ბრძოლა მიმართული იყო პგო-ს მებრძოლთა წინააღმდეგ, რომლებიც იორდანიის ტერიტორიიდან დაუსჯელად ახორციელებდნენ მტრულ ქმედებებს ისრაელის მიმართ. მათ ზოგჯერ იორდანიის არმიის ნაწილებიც უერთდებოდნენ. ამ ზონაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ოპერაცია ჩატარდა, მაგალითად: იორდანიაში , იორდანეს ველზე მდებარე სოფელ კარამეჰში განლაგებულ პგო-ს მთავარი ბაზისა და საწვრთნელი ბანაკსი წინააღმდეგ. ეს ფრონტი შედარებით უსაფრთხო მაშნ გახდა, როდესაც იორდანიის მეფე ჰუსეინმა , რომელიც ძლივს გადაურჩა სიკვდილს პგო-ს მიერ მოწყობილი თავდასხმის დროს,გააცნობიერა, რომ ამ ორგანიზაციამ ამოაყალიბა სახელმწიფო სახელმწიფოში და მის ტახტსაც უდიდესი საფრთხე შეუქმნა. ამიტომ ჰუსეინმა მთელი ძალებით შეუტია პგო-ს 1970 წლის აგვისტო-სექტემბერში . სწორედ ამ დროს იორდანიაში შეიჭრნენ სირიის სატანკო ნაწილები, რომლებიც პალესტინელებად ასაღებდნენ თავს. სირიელების იორდანიაში შეჭრისა და იორდანიელების მიერ მათი

მოგერიებეისას, ამ ქვეყანაშ ხელახალი შეჭრის სურვილის გასანელებლად როგორც სირიის , ისე საბჭოთა კავშირის მისამართით ნათელი და ერთმნიშვნელოვანი მინიშნებები გაკეთდა - ვერც ისრაელი და ვერც ამერიკა მშვიდად ვერ შეხვდებოდა სირიის შეჭრას იორდანიაში. ერთხელ საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აშშ-მ რომელიც ისრაელთან მჭიდროდ თანამშრმლობდა , განაცხადა , რომ ის დათანხმდებოდა და გაამართლებდა ისრაელის არმიის შეჭრას იორდანიაში მეფე ჰუსეინის ხელისუფლების გადასარჩენად. განიხილეს როგორც საჰაერო ისე სახმელეთო ჯარების შესვლის ვარიანტები. ისრაელში გამოცხადებული მობილიზაცია, აშშ-ს ჯარების გადაადგილება ევროპასა და სხვა რეგიონებში, ლევანტის სანაპიროებისაკენ აშშ-ს მე-6 ფლოტის მანევრი და აეროდრომებისაკენ ფლოტის თვიტმფრინავების გაფრენა რუსეთმა კარგად შეამჩნია. ყველა ზემოთ ცამოთვლილმა ქმედებამ ისრაელის მხრიდან შესაძლო აქტიურ მოქმედებაზე გადასვლის ნიშნებთან ერთად, საკმაოდ იმოქმედა რუსებზე და მათ სირიელებს ურჩიეს , უკან დაეხიათ. ამას დაერთო იორდანიელების მამაცური წინააღმდეგობა, რომელსაც ისინი სირიელებს უწევდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-40 ჯავშანსატანკო ბრიგადა, რომელმაც ექვსდღიანი ომის დრო ჩინებულად წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები დასავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთ სექტორში.

პგო , როგორც იორდანიისათვის საშიში სამხედრო ძალია, გაანადგურეს. რის შემდეგაც ორგანიზაცია იორდანიიდან ლიბანში გადავიდა და ამის შემდეგ იორდანიის ფრონტზე მომქანცველი ომი დამთავრდა. მაგრამ ახლა ომის საფთხე ლიბანის მხრიდან მოდიოდა. უკვე მზად იყო სცენარი, რომლის მიხედვითაც პალესტინელებს ბოლო უნდა მოეღოთ ლიბანის სახელმწიფოებრიობისათვის და დასუსტებული ქვეყანა საბოლოოდ სირიას უნდა დაეპყრო .

იომ-ქიფურის ომის დაწყების მიზეზები 1967 წლის ექვსდღიანი ომის დასასრულიდან იღებს სათავეს. იმ გახმაურებული მარცხის გაკვეთილებს არაბი ლიდერებისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია, თუმცა, სწორედ პრეზიდენტმა სადათმა ჩაუყარა საფუძველი გრძელვადიან სტარტეგიას, სინას ტერიტორების ეგვიპტისთვის დაბრუნებისა და 1967 წლის ომში დაკარგული არაბული მიწების

ხელახლა მოპოვების შესახებ. ეს სტრატეგია ერთნაირად ეყრდნობოდა როგორც სამხედრო , ისე პოლიტიკურ მოქმედებებს. სადათი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ, რა სახის სამხედრო ღონისძიებაც უნდა გაეტარებინა ეგვიპტეს და რაგინდ მცირემასშტაბიანიც უნდა ყოფილიყო ის , ისრაელის რეაქცია მაინც მასობრივ ხასიათს მიიღებდა. ამგვარად, ეგვიპტელებს ყველაზე ფართომასშტაბიანი შეტევის წამოწყების გარდა სხვა ალტერნატივა აღარ რჩებოდათ. [53]

იომ-ქიფურის ომს მალევე მოჰყვა გარკვეული შედეგები: ერთი მხრივ , ეგვიპტესა და ისრაელს , მეორე მხრივ, სირიასა და ისრაელს შორის გაუქმდა შეთანხმება, რასაც ისარელსა და ეგვიპტეს შორის 1975 წლის სინას დროებითი შეთანხმება მოჰყვა. დროებითი ხელშეკრულების თანხამად, ისრაელს საკუთარი ძალები მითლასა და გიდის ურელტეხილებამდე უნდა დაეხია, სინაში ამერიკელებით დაკომპლექტებული ელექტრონული სამეთვალყურეო სისტემა უნდა დაყენებულიყო, აბუ - რუ - დეის ნავთობსაბადოები კი ეგვიპტეს უნდა დაჰბრუნებოდა . ისრაელს უფლება ეძლეოდა, სუეცის არხი სანოსნოდ გამოეყენებინა. ამის შემდეგ პრეზიდენტი სადათი გაემგზავრა იერუსალიმში და ის სიტყვით გამოვიდა ისრელის პარლამენტის , ქნესეთის წინაშე, რასაც თავის მხრივ, სამშვიდობო შეთანხმება მოჰყვა: დაიდო პირველი ხელმოწერილი ხელშეკრულება ისრაელსა და არაბულ სახლმწიფოს შორის. ცხადია, რომ იომ-ქიფურის ომში არაბთა თავდაპირველმა წარმატებებმა მათ ეროვნული სიამაყის გრძნობა გაუძლიერა, სადათს კი ორ მხარეს შორის დიალოგში მონაწილეობა გაუადვილა რასაც საბოლოოდ სამშვიდობო მოლაპარაკება მოჰყვა. რაც დრო გადის იომ-ქიფურის ომის როლი სულ უფრო აშკარა ხდება და ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს.აქედან იწყება სამხედრო კონფლიქტების ახალი ეპოქა. ეს პირველი ომი იყო, რომელშიც აქტიურად გამოიყენეს სხვადასხვა ტიპის რაკეტები (ხმელეთი-ხმელეთი, ხმელეთი-ჰაერი, ჰაერი-ხმელეთი და წყალ-წყალ) და რომლის დროსაც გაიმართა ისტორიაში პირველი საზღვაო-სარაკეტო ბრძოლა.ამგვარად , ამ ომის გაკვეთილების გათვალისწინებით, სამხედრო

[53] ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007. გვ. 18-28

სტრატეგიისა და და ტექნიკის მთელი მეცნიერების ხელახალი შეფასება უნდა მოხდეს.

თავი III ისრაელ - პალესტინის კონფლიქტის მოგვარების მცდელობები და შესაძლო პერსპექტივები.

3.1. პირველი ინთიფადა და ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობის დამყარების ცდები.

პალესტინელთა პირველი ინqთიფადა პალესტინელებისათვის იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა თუნდაც იმ უპირველესი მიზეზის გამო, რომ მსოფლიოს დაანახეს თავიანთი გზავნილი, პალესტინის პრობლემის სრული გაშუქება იყო ამ ინთიფადას სტრატეგიული მიზანი. მასალები, რომლებიც გაზეთში იბეჭდებოდა, სწორედ პალესინელთა მთავარ მიზანს ემსახურებოდა,

რომ გავრცელებულიყო ეს პრობლემა უფრო ფართო მასშტაბებზე და ისრაელისთვის ეჩვენებინათ , რომ მათი ოკუპაცია არ იყო სამუდამო.

1977 წელს მოხდა მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები. გახალის პარტიამ გაიმარჯვა ისრაელის საყოველთაო არჩევნებში და ამ ფაქტით ლეიბორისტული პარტია შეცვალა, რომელიც 1948 წელს ისრაელის დაარსების შემდეგ უცვლელად იყო ქვეყნის სათავეში. ახალმა პრემიერ-მინისტრმა, მენახემ ბეგინმა, გადაწყვიტა თავდაცვის მინისტრად ეზერ ვეიცმანი დაენიშნა .მნიშვნელოვანია ისიც რომ, ვეიცმანი გახდა პირველი თავდაცვის მინისტრი, რომელიც ლეიბორისტულ პარტიაშ არ შედიოდა.

ვეიცმანი და მისი მოადგილე, მორდეხაი ციფორი, თავდაცვის სფეროში ახალბედა წარმომადგენლები არ იყვნენ. რადგან ორ პარტიას შორის უსაფრთხოების საკითხვებთან დაკავშირებით აზრთა განსხვავება არ იყო, ამ სფეროში არც ახალი მიმართულების ან სტილის დანერგვა იყო მოსალოდნელი. ასეც მოხდა, იმ დღიდანვე, როდესაც ის თანამდებობაზე დაინიშნა, სწორედ მისი წინამორბედის სტილს აგრძელებდა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეგვიპტის პრეზიდენტის სადათის ვიზიტისა და ისრაელ - ეგვიპტის სამშვიდობო შეთანხმებების შემდეგ ისრაელმა პალესტინის კონტროლირებად - ოკუპირებულ ტერიტორიებზე ძველი პოლიტიკა საგრძნობლად შეცვალა.[54]

1978 წლის 17 სექტემბრის კემპ-დევიდის ხელშეკრულების საფუძველზე ისრაელმა ისრაელ-ეგვიპტის სინაში მიღწეული შეთანხმება კონფლიქტის მოგვარების გზებს დაუკავშირა და პალესტინის პრობლემის მოგვარების ყველა მხარე მოლაპარაკებების იმედად დატოვა. პრემიერ-მინისტრმა ბეგინმა გადაწყვიტა, რომ პალესტინელებთან საბოლოო მოლაპარაკების შედეგად ამ ტერიტორიებზე ისრელის მუდმივი კონტროლისათვის და სუვერენიტეტისთვის მიეღწია, არაბი და ასევე პალესტინელი მოსახლენი კი ტერიტორიებზე შეზღუდულ რელიგიურ-კულტურულ ავტონომიას მიიღებდნენ. ანუ , მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტონომიას მიიღებდა ხალხი მაგრამ არა - მიწა. ამ მიზნის განსახორციელებლად ისრაელის მფლობელობაშ უნდა გადასულიყო

[54] ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007. გვ.19-20

მთელი სახელმწიფო და საზოგადო სარგებლობის მიწები ამ ტერიტორებზე, აგრეთვე , იუდეაში ისრაელის მოსახლეობის აქტიური დასახლება, სამარიასა და ღაზას ვიწრო ზოლზე. ამ უფლების გამოყენება დაიწყო ძალიან სწრაფად თავდაცვის მინისტრის ეზერ ეიცმანის თანამდებობიდან გადადგომისა და პარტიიდან მისი წასვლის შემდეგ.

ახალი ქსენეთი, ახალი მთავრობა

1984 წლის არჩევნების შედეგება იმედი გაუცრუ როგორც ისრაელის მოსახლეობას ასევე პალესტინელებს. პალესტინელთა აჯანყებამდე კარგა ხნით ადრე გამოჩნდა კედლის წარწერები, თუმცა ისრაელს ამ რეალობისთვის თვალის გასწორება სინამდვილეში არ უნდოდა და ეს იყო მიზეზი მისი ქმედებებისა. ამ პერიოდის განმავლობაში ებრაელი ახალმოსახლეების დასახლების ადგილებში საგრძნობლად მოიმატა უთანხმოებების, არეულობების, ტერორისტული თავდასხმებისა და ძალადობის უხეშმა ფაქტებმა. [55]

თავდაცვის მინისტრი, ამ პროცესებთან გამკლავების მიზნით, მოადგილეებთან ყოველკვირეულ სავალდებულო შეხვედრებს მართავდა. აღნიშNულ შეხვედრებზე ისინი განიხილავდნენ მიმდინარე პროცესებს და მისი მოგვარების შესაძლო პერსპექტივებს, თუმცა ეს საკმარისი არ ღმოჩნდა მომავალშ უფრო დიდი და მასშტაბური პრობლემის თავიდან ასაცილებლად.

პალესტინელთა აჯანყება

1987 წლის 8 დეკემბერს ღაზას სექტორის ჩრდილოეთ ნაწილში, კერძოდ კი, ჯებალიას ლტოლვილთა ბანაკის ვიწყო ქუჩებში, მოძრაობდა დიდი სატვირთო მანქანა, რომელსაც ებრაელი სამოქალაქო პირი მართავდა. სრულიად შემთხვევით ის შეეჯახა ადგილობრივი არაბის მანქანას. მეორე მანქანაში დაიღუპა ოთხივე მგზავრი ხოლოდ რამდენიმე ძალიან მძიმედ იყო დაშავებული. ამ უბედურმა შემთხვევამ ძალიან დიდი აურზაური გამოიწვია და უმეტესად ჟღერდა ის აზრი , რომ ეს იყო გამიზნული ქმედება შურიძიების მიზნით.

მომდევნო დღე უკვე ინთიფადას პირველ დღედ ითვლება. ღაზას სექტორში მღელვარება არ იკლებდა. ხალხი სამსახური არ დადიოდა და გაფიცვებს

[55]ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007.გვ.19-24

აწყობდნენ, დემონსტრაციებს სულ უფრო მეტი ადამიანი ემზატებოდა. ამ დღეებმა დაასრულა ისრაელის მართვის 20 წლიანი პერიოდი. ინთიფადას დაწყებასთან ერთად პარტიების ურთიერთობაში ახალი პერიოდი დაიწყო. ეს ძალადობისა და სამხედრო დაპირისპირების ფაზა იყო და, ამავე დროს, სიტუაციის დარეგულირებისათვის პოლიტიკური დიალოგის ძიების ხანაც.[56]

ისრაელის მთავრობას ძალიან გაუჭირდა შეგუებოდა იმ ფაქტს, რომ 1987 წლის 9 დეკემბერმა მის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების სამხედრო ოკუპაციის გამყოფი ხაზის როლი ითამაშა. ისრაელში პოლიტიკურ და სამხერო წრეებს ძალიან დიდი დრო დასჭირდა იმის გასაცნობიერებლად, რომ ღაზას სექტორსა და დასავლეთ სანაპიროზე მომხდარი ძალადობრივი ფაქტები არსობრივად განსხვავდებოდა წინა, 20 წლის განმავლობაში მომხდარი ფაქტებისაგან. ადგილობრივ მოსახლეობასა და ისრაელის სამხედრო ძალებს შორის სამხედრო დაპირისპირების რთული ფაზა დაიწყო. ეს იყო ყოვლისმომცველი წინააღმდეგობა, რომლის ფარგლებშიც დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში მცხოვრები პალესტინელები თავს ესხმოდნენ ნებისმიერ ებრაელს, რომელიც კი გზად გადაეყრებოდათ, მნიშნელობა არ ჰქონდა თუ ეს იქნებოდა სამხედრო მოსამსახურე, ახალმოსახლე თუ უდანაშაულო სამოქალაქო პირი; უსწორდებოდნენ ნებისმიერი იარაღით - ქვებით , დანებით, თვითნაკეთი ყუმბარებითა და, რა თქმა უნდა, ცეცხლსასროლი იარაღით. პალესტინელთა ძალადობა რეგიონის ფარგლებს ბევრად გასცდა. ექსტრემისტული არაბული დაჯგუფებების წევრები თავს ესხმოდნენ დასავლეთში მდებარე ებრაულ ობიექტებს, სამსახურებსა , ოფისებს და ა.შ. აქედან გამომდინარე ბუნებრივია,მსხვერპლიც სულ უფრო მეტად იზრდებოდა.

ამავე პერიოდში მიმდინარეობდა კამათი იმაზე თუ როგორ უნდა შეეჩერებინათ პალესტინელტა აჯანყება,ეს იქნებოდა სამხედრო გზა თუ სხვა. საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ პოლიტიკური გზა ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა. თავდაცვის მინისტრმა იცხაკ რაბინმა ინთიფადას ჩაცხრობასთან დაკავშირებული უკიდურესი ხასიათის ყველა წინადადებაზე უარი განაცხადა. ამ

[56]ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007.გვ.8-9

წინადადებების მიღება არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმების, არამედ თვით ითძ-ს ნორმების დარღვევის ტოლფასი იქნებოდა.

ინთიფადა ითძ- ს ისტორიაში პირველი შემთხვევა იყო, როცა პოლიტიკური ორგანიზაცია სამხედრო ელიტისკენ აშკარად არარეალურ ნაბიჯებს დგამდა,მაშინ , როცა უსაფრთხოების სამსახურებმა გასაგებად განუმარტეს პოლიტიკოსებს, რომ პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად უსაფრთხოების ორგანოებს არ გამოაყენებინებდნენ.[57]

ხომალდი „გზა შინისაკენ“

პალესტინელები ცდილობდნენ რომ ყველა ხერხისთვის მიემართათ, რაც კი ისრაელს პოლიტიკურ პრობლემებს შეუქმნიდა. მათგან ერთ-ერთი ყოფილი მაიორის , ალ - ტირელი აბდელ ჯავად სავაჰის გეგმა იყო. თავის დროზე სავაჰი ისრაელის ხელისუფლებამ ქვეყნიდან იორდანიაში გააძევა. მისი გეგმა ასეთი იყო: პალესტინისკენ ასობით პალესტინელი ლტოლვილით დატვირთული გემი „გზა შინისაკენ“ უნდა დაძრულიყო და 1947 წელს მომხდარი ანალოგიური შემთხვევა განესახიერებინა, როცა გემმა , სახელწოდებიტ „ ექსოდუს“ - ასობით ებრაელი ლტოლვილი პალესტინის მიწაზე ჩამოსხა. რა თქმა უნდა, ეს საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად იყო გამიზული, რომელიც მიზნად 1947 წელს ებრაელების ჩამოსვლასა და 1988 წელს პალესტინელების მგზავრობას შორის მსგავსები ხაზგასმას ისახავდა. ამ აქციით პალესტინელები საკუთარ მიწაზე უფლებას აცხადებდნენ. [58]

ისრაელმა ეს ოპერაცია აღიქვა მტრულ ქმედებად. 1988 წლის 15 თებერვალს გემი „ გზა შინისაკენ“ წყალქვეშა ოპერაციის შედეგად დაზიანდა. პგო-ს კუთვნილი ეს გემი ჯერ კიდევ ლიმასოლის (კვიპროსი) პორტში იდგა, რომელსაც პალესტინელი ლტოლვლები ისრაელში უნდა გადაეყვანა. დაახლოებით 24 საათით ადრე პგო-ს სამი ოფიცერი, რომელთაც ეს ხომალდი პგო-სთვის შეიძინეს,ლიმასოლში საკუთარ მანქანაში დამონტაჟებულმა ასაფეთქებელმა მოწყობილობამ იმსხვერპლა. ეს ორი შემტხვევა მარტივად დაუკავშირეს

[57] ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007.გვ. 4-5

[58] Bregman, Ahron. Israel's Wars, 1947-1993.London and New York: Routledge, 2000.p. 5-10

ერთმანეთს და ბრალი დასდეს ისრაელს მომხდარ ინციდენტებში, რადგან ერთადერთი მხარე, რომელიც ხომალდის შეჩერებით შეიძლებოდა ყოფილიყო დაინტერესებული, სწორედ ისრაელი იყო. პგო ისრაელს შურიძიებით დაემუქრა. [59]

ისრაელელებზე მომხდარი თავვდასმები

მიმდინარე მოვლენები გაამწვავ 1988 წლის 30 ოქტომბერს იერიქოს მახლობლად ისრაელის ავტობუსის ააფეთქებამ, რომლის დროსაც დაიღუპა ისრაელის 5 მოქალაქე (მათ შორის - სამი შვილის დედა ბავშვებთან ერთად), დანარჩენი ოთხი მგზავრი კი მძიმედ დაიჭრა. ამ დროს დაფიქსრიდა მსხვერპლის ყველაზე მაღალი ნიშნული, რაც კი მანამდე მოჰყოლია ტერორისტულ აქტებს. ებრაელი ექსპერტების შეფასებით, ამ თავდასხმამ, რომელიც საყოველთაო არჩევნებს დაემთხვა, მემარჯვენე პარტიების ინტერესებს ემხრობოდა. პგო-მ, რომელსაც მოვლენების ასე განვითარება არ აწყობდა, ან, შესაძლოა, უფრო თავდაჯერებული იმიჯის შექმნა სურდა, თავდასხმა დაგმო და ისრაელელებს მოუწოდა , „ ხმა მშვიდობისთვის“ მიეცათ.[60]

საყურადღებოდა ის ფაქტი რომ, ისრაელში ინთიფადას ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ავტობუსების აფეთქება არის. 6 ივლისს თელ-ავივიდან იერუსალიმში მიმავალ ავტობუსში ტეტორისტული აქტი ერთ-ერთმა არაბმა მგზავრმა განახორციელა. თელ - ავივიდან ნახევარი საათის გამოსული ავტობუსის მძღოლს, ნევე-ილანის გზაჯვარედინთან მიახლოვებისას, მგზავრი მოულოდნელად კაბინაში შეეჭრა და საჭე მკვეთრად მოაბრუნებინა. ავტობუსმა გზიდან მარჯვნივ გადაუხვია და ღრმა ხეობაში გადაიჩეხა. ხეობაში ჩასვლა ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა და მითუმეტეს იქედან დაშავებულების ამოყვანა კიდევ უფრო წარმოუდგენელი იყო. ამ მოვლენების გამო 60 მგზავრი დაიღუპა, 25 დაშავდა. თავდამსხმელმა მიიღო მსუბუქი დაზიანება და შემდეგ

[59] ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007. გვ. 15-26

[60] Bregman, Ahron. Israel's Wars, 1947-1993.London and New York: Routledge, 2000. P. 44-48

ისიც კი აღიარა , რომ ღაზას სექტორში მოქმედი ისლამური „ ჯიჰადის“ წევრი იყო.[61]

ტაძრის მთის ტრაგედია

ყველაზე მნიშნელოვანი ინციდენტი, რომელსაც კონტოლირებად ტერიტორიებზე 1967 წლის შემდეგ ჰქონდა ადგილი 1990 წლის 8 ოქტომბერს იერუსალიმში ტაძრის მთაზე (ალ- ჰარამ აშ შარიფ) განხორციელდა.

ამ შემთხვევის გამო, 19 პალესტინელი გარდაიცვალა , ხოლო 200 -ზე მეტი პალესტინელი და 11 ებრაელი დაიჭრა , ინთიფადას ესკალაციაში კატალიზატორის როლი შეასრულა და ებრაელებსაც და პალესტინელ არაბებსაც მძიმე ემოციური დაღი დაასვა.

ეს ინციდენტი გამოიწვია ექსტრემისტულად განწყობილმა ებრაელა დაჯგუფების განცხადებამ: მათ ებრაელთა რელიგიურ დღესასწაულ სუქოთზე ტაძრის წმინდა მთაზე ასვლა ჰქონდათ განზრახული. იმის შიშმა, რომ ებრაელები დაეპატრონებოდნენ ალ-ჰარამ აშ-შარიფის მთას, ისრაელელებისა და პალესტინელების კონფლიქტის ახალ მიზეზად იქცა. ტაძრის მთაზე 3 000 -ზე მეტი მუსლიმი მორწმუნე იყო თავმოყრილი, იმ მიზნით, რომ ებრაელებისთვის წმინდა ადგილებთან მიახლოვების საშუალება არ მიეცათ, ქვემოთ, გოდების კედელთან კი, სუქოთის სადღესასწაულო ლოცვა მიმდინარეობდა, რომელშიც 20 000 ებრაელი მონაწილეობდა. [62]

პალესტინელებმა ქვემოთ მლოცველ ებრაელებსა და ზემოთ , მთაზე- პოლიციელებს ქვები დაუშინეს. აღმოჩნდა, რომ არაბ მოლას ახლოს მდებარე სოფელ სილვანში ხმა გაუვრცელებია, რომ თითქოს ებრაელები მთას უახლოვდებოდნენ. რამდენიმე პოლიციელი განზე გადგა და პალესტინელებმა მეჩეთის შემოგარენი დაიკავეს . შემდეგ გარკვეულწილად მცდარი ინფორმაციის გავრცელების გამოც , თითქოს მეჩეთში პოლიციელები იყვნენ დატყვევებული, პოლიციის ძალებმა , რეზინის ტყვიებისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით

[61] ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007. გვ.18-38

[62] ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007. გვ. 184-195

მტის შტურმი დაიწყეს.პალესტინელტა შორის ყველაზე მეტი ადამიანი ამ ეტაპზე დაიღუპა და დაშავდა. [63]

ტრაგედიის დღესვე ინტიფადას გეს-მა (გაერთიანებულმა ერვნულმა სარდლობამ) გამოსცა მოწოდება, რომელმაც ტაძრის მთაზე მომხდარი სისხლის ღვრით გამოწვეული მთელი მრისხანება დაიტია: „ ამიერიდან პალესტინის მიწაზე სამიზნედ იქცა ყოველი ისრაელელი ჯარისკაცი და ახალმოსახლე, ყველა მათგანი უნდა განადგურდეს!“. [64]

3.2.აშშ-ს პოზიცია ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო შეთანხმებებზე ცივი ომის დასრულების შემდგომ.

მნიშნელოვანია 1993 წლის 13 სექტემბერის ვაშნგტონში შეხვედრის დეტალები, რომლის დროსაც, თეთრ სახლში, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა მაჰმუდ აბასმა (აბუ მაზენმა) ხელი მოაწერეს პალესტინის დროებით თვითმმართველობაზე შეთანხმებათა პრინციპების დეკლარაციას. 9 თვიანი მოლაპარაკებების შედეგი სახეზე იყო. მოლაპარაკებები 1993 წლის იანვარ-აგვისტოში ჩატარდა ნორვეგიის დედაქალაქში, ოსლოში, რომელიც ჩატარდა ნორვეგიის გამოყენებითი სოციალური მეცნიერების ინსტიტუტის ინიციატივით. 4 დღით ადრე, 9 სექტემბერს, პგო-ს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ იასირ არაფათმა და ისრაელის პრემიერ-მინისტრმა იცხაკ რაბინმა გაცვალეს წერილები, რომლებშიც ცნეს ერთმანეთი. არაფათმა აღიარა ისრაელის უფლება არსებობაზე, მიიღო გაერო-ს უშიშროების საბჭოს 242-ე და 338-ე რეზოლუციები და გამოაცხადა თავისი ვალდებულებები კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებისათვის.[65] მან თვითონვე გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ პგო-ს წესდების ის მუხლები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ამ

---

[63] ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007. გვ. 160

[64] Berger, Elmer. The Real Issues in the Arab-Israeli-Zionist Conflict in Smith Gary V. (ed). Zionism, the Dream and the reality: A Jewish Critique, New York: Barnes and Noble, 1974, P. 3-8

[65] ჯაფარიძე თ. სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში (ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-1999 წლებში), ქართული დიპლომატია. წელიწდეული, XII, თბ., 2005, გვ. 337-356, 523.

ვალდებულებებს, იყო ძალადაკარგული. გარდა ამისა, მან პირობა დადო, რომ განსახილველად გადასცემდა პალესტინის ეროვნულ საბჭოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მან მოუწოდა დასავლეთი ნაპირისა და ღაზის სექტორის პალესტინელებს, რომ უარი ეთქვათ ძალადობაზე. ი. რაბინმა აღიარა პგო, როგორც პალესტინელი ხალხის წარმომადგენელი და დათანხმდა პირდაპირ მოლაპარაკებებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ 1948 წლიდან არაბებისა და ისრაელის დაპირისპირების შედეგად მოხდა 5 ომი, ხოლო არაერთი სამშვიდობო ინიციატივა მარცხით მთავრდებოდა, პალესტინელთა და ისრაელის მოლაპარაკება და პრინციპების დეკლარაციაზე ხელმოწერა უმნიშნელოვანესი ფაქტი იყო ახლო აღმოსავლეთის უახლოეს ისტორიაში. ეს ყველაფერი შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ 90-იანი წლების დამდეგს სპარსეთის ყურის მეორე ომში ერაყის დამარცხებამ და სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ცივი ომის დასრულებამ შექმნა სათანადო პირობები ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის განვითარებისათვის.

ომმა სპარსეთის ყურეში წარმოაჩინა გამალებული შეიარაღების შესაძლო შედეგები, გარდა ამისა, შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხე, როგორც არაბებისათვის,ისე ისრაელისათვის. ერაყის რაკეტებმა (Scud-B) შეაღწიეს ისრაელში. მართალია, ისრაელის ზარალი მინიმალური იყო, მაგრამ ახალი ომისა და ქიმიური იარაღაის გამოყენების პერსპექტივამ კიდევ უფრო დამყოლი გახადა ისრაელი, რათა ეძებნა სამშვიდობო გზა არაბებთან კონფლიქტის მოგვარებისათვის. მას შემდეგ , რაც გაირკვა, რომ ერაყი ამზადებდა ბიოლოგიურსა და ბირთვულ იარაღს , ამ გზის ძიება გადაუდებელი გახდა. ისრაელმა გააცნობიერა ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა რომ ტექნოლოგიურად არაბები ცამოღცებოდნენ მათ , არაბები კიდევ შეეცდებოდნენ დაწეოდნენ ისრაელს და თუ ომი მოხდებოდა უნდა მიეყენებინათ სერიოზული ზარალი. სპარსეთის ყურის ომში გაერო-ს მრავალეროვან ჯარებში არაბული ქვეყნების მონაწილეობამ შეამცირა ისრაელის სტრატეგიული მნიშვნელობა აშშ-ისათვის. ერაყის წინააღმდეგ კოალიციურ ძალებთან ისრაელის ძველი მტრის სირიის

თანამშრომლობამ, აშშ-თან საუდის არაბეთისა და ეგვიპტის თანამშრომლობის განმტკიცებამ შეშფოთება გამოიწვია ისრაელში.

არაბულმა ყვეყნებმა სპარსეთის ყურის ომში აშშ-ის მოკავშირეობა გამოიყენეს იმ მიზნით , რათა ძალით თუ მშვიდობიანი გზით მოეგვარებინათ არაბებისა და ისრაელის კონფლიქტი. ერაყის დამარცხების შემდეგ კიდევ უფრო დასუსტდნენ იორდანია და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია, რომლებიც მხარს უჭერდნენ სადამ ჰუსეინს. პგო-მ დაკარგა სპარსეთის ყურის ქვეყნების ფინანსური დახმარება. ამ ქვეყნებიდან გააძევეს 250 -ათასი პალესტინელი. იორდანიისა და პგო-სათვის სამშვიდობო პროცესში მონაწილეობა შეიძლებოდა გამხდარიყო არაბთა უმრავლესობის რიგებში დაბრუნებისა და არაბთა და საერთაშორისო დახმარების მიღების ერთადერთი გზა. ერაყის დამარცხების შემდეგ დარწმუნდნენ ისინი, რომ ცდებოდნენ, როცა შესაძლებლად მიაჩნდათ ახლო აღმოსავლეთის ყველა სატკივარის რადიკალური გადაჭრის გზა.

ერაყის დამარცხებით საშუალება მიეცა აშშ-ის პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს,რომ გამოეცხადებინა „ახალი მსოფლიო წესრიგი“ აშშ-ის ხელმძღვანელობით არაბებისა და ისრაელის კონფლიქტის მოგვარება გახდა აშშ-ის ახალი პოლიტიკის სასინჯი ქვა. ის იყო არსებით შემადგენელი ნაწილი ვაშინგტონის სტრატეგიისა - დაეცვა ნავთობის რესურსები და ებრძოლა რადიკალიზმთან ახლო აღმოსავლეთში. დასასრულ, კონფლიქტის მოწესრიგებას შეეძლო დაესრულებინა გამალებული შეიარაღება, განსაკუთრებით, მასობრივი განადგურების იარაღის შექმნის სფეროში, რაც 80-იანი წლების ბოლოს შემაშფოთებელი გახდა.[66]

სამშვიდობო პროცესს ასევე ხელი შეუწყო სსრ კავშირის დასუსტებამ და შემდეგ დაშლამ. ცივი ომის დასრულებამ მნიშნელოვნი გავლენა მოახდინა, როგორც ისრაელის, ისე არაბული ქვეყნების პოზიციაზე. სირიამ და პგო-მ სსრ კავშირის სახით დაკარგეს დამხმარე ძალა, რომელიც მათ უწევდა მძლავრ დიპლომატიურ და სამხედრო მხარდაჭერას. როდესაც სსრ კავშირი დაიშალა ფაქტი იყო რომ ისრაელმა დაკარგა საშიში და მძლავრი მტერი, მაგრამ ეს ნიშნავდა ებრაელთა

[66] ჯაფარიძე თ. სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში (ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-1999 წლებში), ქართული დიპლომატია. წელიწდეული, XII, თბ., 2005, გვ. 337-358.

მასობრივ ემიგრაციას ისრაელისკენ. ცივი ომის დასრულების შემდეგ ასევე შემცირდა ისრაელის, როგორც აშშ-ის სტრატეგიული პარტნორის როლი გლობალურ კონფრონტაციაში. ებრაელთა მასობრივმა ემიგრაციამ ბუნებრივია, გამოიწვია მთელი რიგი პრობლემები ეკონომიკაში. აღნიშნული პრობლემების გადაჭრა სრაელს არ შეეძლო აშშ-ის და დასავლეთის დახმარების გარეშე,რისი გარანტიაც არ არსებობდა მანამდე , სანამ ისრაელი არ მიიღებდა მონაწილეობას არაბებთან მოლაპარაკებაში. ამის გათვალისწინებით, ისრაელს უნდა გადაედგა ნაბიჯი მშვიდობის დამყარებისაკენ.

სპარსეთის ყურის ომისა და სსრ კავშირის დაშლის გარდა იყო ბევრი მიზეზი, რომელიც პალესტინელებსა და ებრაელებს აიძულებდათ და მიზეზს აძლევდა, რომ დაეწყოთ სამშვიდობო შეთანხმებები. ამ მხრივ მნიშნელოვანი ფაქტი იყო ის, რომ 1988 წელს პალესტინის ეროვნულმა საბჭომ აღიარა გაერო-ს უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუცია, რომელიც ცნობდა ისრაელის და პალესტინის პრობლემის გადასაჭრელად პალესტინის ორ სახელმწიფოდ დაყოფას. ამ მოვლენების კვალდაკვალ ,სირიამ დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა ეგვიპტესთან, ფაქტობრივად ცნო კემპ-დევიდის შეთანხმება და ამან საშუალება მისცა ეგვიპტეს, დაბრუნებულიყო არაბული სახელმწიფოების ლიგაში. ისრაელმა რეალურად ვერ შეძლო დაეშოშმინებინა ინთიფადა,არაბთა სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, აჯანყება რომელიც მიმდინარეობდა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირსა და ღაზას სექტორში. ასევე გამძაფრდა ქსტრემისტული ისლამური ჯგუფების გამოსვლები. იქამდე სანამ ებრაელთა მასობრივ ემიგრაცია დაიწყებოდა, ისრაელს გაუჩნდა სერიზული ეკონომიკური პრობლემები. წყალზე ისრაელის საჭიროებების უზრუნველყოფა წარმოუდგენელი იყო თუ არ მოხდებოდა რეგიონული თანამშრომლობა ამ საკითხში. შეიძლება ითქვას, რომ ქონფლიქტში მონაწილე მხარეები, არაბებიცა და ისრაელიც, იმ ეტაპზე მივიდნენ, რომ უნდა დაეწყოთ მოლაპარაკებები რეალური შედეგების მოტანის მიზნით. უნდა მომხდარიყო რადიკალური ცვლილებები მათ შორის დაძაბულ ურთიერთობებში და სულ მცირე განეიტრალება მაინც მომხდარიყო. ამის საჭიროება იყო დამდგარი ორივე მხარისთვის.

3.3. პალესტინური ინთიფადა და ისრაელსა და პალესტინას შორის პროობლემების აღმოფხვრისაკენ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯები.

2000 წლის ივლისში კემპ დევიდის სამიტის შემდეგ საბოლოოდ ცხადი იყო, რომ ისრაელი და პალესტინელები შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ. ამის გათვალისწინებით, პალესტინის ხელისუფლებამ შემდეგი სახის გადაწყვეტილება მიიღო: რისი მიღწევაც შეუძლებელი იყო პოლიტიკური საშუალებებით, ძალადობრივი ბრძოლით უნდა განხორციელებულიყო.[67] მას შემდეგ რაც,კემპ დევიდის სამიტი უშედეგო აღმოჩნდა, პალესტინელებმა დებატები წამოიწყეს, ღირდა თუ არა ძალადობრივი კონფრონტაციის განახლება. ივლისში იერუსალიმში მომუშავე რეპორტიორმა „ფათაჰის“ რიგებში არსებული განწყობა ასე დაახასიათა: „ფათაჰის ზოგი ლიდერი იმ თვალსაზრისს ავითარებს,რომ დაპირისპირების გაგრძელება საერთაშორისო ჩარევის მისაღწევად არის საჭირო , რომელიც , ჩვეულებრივ, სუსუტი მხარის სასარგებლოდ ხდება და ისრაელს პალესტინელების უფლებების დაცვას მოსთხოვს, სავარაუდოდ უფრო მეტადაც, ვიდრე ეს მოლაპარაკებების მეშვეობით მოხერხდებოდა“. 2000 წლის ივლისში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მონაცემებითაც, პალესტინელთა 57 % თვლიდა , რომ ძალადობრივი კონფრონტაცია მათთვის პოლიტიკურად ხელსაყრელი იყო. 63%-ის აზრით, „ჰესბოლას“ წინააღმდეგობის მეთოდები გამართლებული იქნებოდა,თუკი უახლოეს თვეებში შეთანხმება ვერ მიიღწეოდა. აქედან გამომდინარე, ამბოხებისა და შესაბამისი პოლიტიკური გამარჯვებისთვის მზადება ეჭვს არ იწვევდა.

28 სექტემბერს ლიკუდის ლიდერმა, არიელ შარონმა იერუსალიმში ტაძრის მთა (ალ-ჰარამ აშ შარიფი) ინახულა.ამის შემდეგ მომდევნო დღეს პალესტინელები აჯანყდნენ. წესრიგის დამყარების მცდელობის დროს ისრაელის პოიციის მიერ მოკლულ იქნა 5 ადამიანი, თუმცა ეს არ იყო მიზანმიმართული ქმედება. მომდევნო დღეების განმავლობაში რამდენიმე ათასმა პალესტინელმა ახალგაზრდამ, რომელთაც ზურგს“ ფათაჰის“ ორგანიზაცია „თანზიმის“

[67] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი (ხალხი, სივრცე და პოლიტიკა). თბილისი, 2019. გვ. 1-9

შეიარაღებული წევრები და პალესტინის პოლიციის ოფიცრები უმაგრებდნენ, ისწარელის გასაშვები პოსტებისაკენ გაილაშქრეს.

ელ-აქსას ინთიფადა

ზოგჯერ პირველ და მეორე ინთიფადას აიგივებენ ერთმანეთთან და ამის ტენდენცია არსებობს. მათი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, რა თქმა უნდა, ერთი იყო: ისრაელის ჯარის ღაზადან და დასავლეთ სანაპიროებიდან იძულებით გაყვანა. ორივე კონფლიქტი მიმდინარეობდა ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში და დაპირისპირებული მხარეებიც იგივენი იყვნენ, მაგრამ მსგავსება აქ მთავრდებოდა. ყველა სხვა თვალსაზრისით, მეორე, ელ-აქსას ინთიფადა პრველისაგან ძალიან განსხვავდებოდა.[68]

ელ-აქსას ინთიფადამ იფეთქა იმ პერიოდისთვის, როცა ოსლოს პროცესი ახალი დაწყებული იყო. ამას ორი მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა. პირველიის იყო, რომ კონტროლირებად ტერიტორიებზე არსებობდა არჩეული და აღიარებული პალესტინის ხელისუფლება, რომელმაც მოამზადა, დაიწყო და მართავდა შეიარაღებულ კონფლიქტს; მეორე მიზეზი კი ის იყო, რომ ისრაელმა კონტორლირებადი ტერიტორიების 98%-ზე კონტროლი პალესტინის ხელისუფლებას გადასცა, ღაზას სექტორისა და დასავლეთ სანაპიროს ძირითადი ნაწილის ჩათვლით. ამ გვარად, პალესტინელების მიზანი ახალი დაპირისპირების დაწყებისას ოკუპაციისგან გათავისუფლება კი არა, ისრაელთან მოლაპარაკებებისას საკუთარი პოზიციის გაძლიერებაზე ზრუნვა იყო. [69]

იმ ფუნდამენტური ფაქტის გათვალისწინებით, რომ პალესტინური მოსახლეობა ისრაელის მმართველობის ქვეშ აღარ იმყოფებოდა, ელ-აქსას ინთიფადას არ ჰქონდა სახალხო აჯანყებებისათვის აუცილებელი ნიშან-თვისებები. მასობრივი გამოსვლები და ქვის სროლით დაპირისპირება აღარ მომხდარა. პირველისაგან განსხვავებით მეორე ინთიფადა უკვე ომი იყო, სადაც ცეცხლსასროლი იარაღი და ასაფეთქებელი საშუალებები გამოიყენებოდა. ორი ხაზგასმით აღსანიშნი ასპექტი ის იყო, რომ პალესტინურ სამხედრო სამხედრო

[68] გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი (ხალხი, სივრცე და პოლიტიკა). თბილისი, 2019.გვ. 135,142
[69] ხ. ჰერცოგი, (2007). ისარელ-არაბების ომები, თბილისი , გვ. 18-23

დაჯგუფებებს იარაღისა (ადრინდელზე გაცილებით უკეთესი ხარისხის) და ასაფეთქებელი ნივთიერებების პრაქტიკულად ამოუწურავი მარაგი ჰქონდათ.ისრაელმა ვერ შეძლო ღაზას სექტორში(რაფა) სინადან კონტრაბანდული იარაღის შემოტანის აღკვეთა, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაბანდული დანიშNულების 300 გვირაბი აღმოაჩინეს, რომელთაგან ზოგი 300 ფუტის სიღრმეზე იყო გათხრილი.

ბრძოლას პალესტინის ხელისუფლების ხელმძღვანელი იასირ არაფატი და მისი დამქაშები წარმართავდნენ, თვით ოპერაციებს კი პალესტინის უსაფრთხოების ძალები და ამ ტერიტორიებზე შექმნილი სხვადასხვა ორგანიზაციის წევრები ახორციელებდნენ. თავდასხმები ცენტრალიზებული კონტორლის გარეშე იგეგმებოდა და მზადდებოდა. ხშირად ისიც კი გაურკვეველი რჩებოდა , რომელი დაჯგუფების მიერ იყო მოწყობილი ესა თუ ის ტერორისტული აქტი.

პირველი ინტიფადასგან განსხვავებით ამჯერად ისრაელის მშვიდობიანი მოქალაქეები, კონტორლირებად ტერიტორიებზე თუ ისარელის მიწაზე, სამიზნეებად იქცნენ. პალესტინელები ქვეყნის დასახული ცენტრების წინააღმდეგ უსასტიკეს იარაღს-კამიკაძე-ტერორისტებს იყენებდნენ.[70]

ღაზას სექტორს თითქმის სრული დამოუკიდებლობა ჰქონდა მინიჭებული, რაფას რეგიონის მონაკვეთში ეგვიპტესთან კომუნიკაციას არანაირი წინააღმდეგობა არ ექმნებოდა.ამან შესაძლებელი გახადა პალესტინური იარაღის ინდუსტრიის ჩამოყალიბება, რომელშიც ჭურვები და ყუმბარმტყორცნები, ასევე სხვადასხვა დიამეტრის „ქასამის“ ტიპის რაკეტები შედიოდა. ღაზაში დიდი ოდენობის იარაღი განსაკუთრებით, სტანდარტული ასაფეთქებელი ნივთიერებები სინას რეგიონიდანაც აღწევდა. კონფლიქტის განვითარებასთან ერთად, ღაზელმა ტერორისტებმა ადგილობრივი წარმოების მაღალი ტრაექტორიის იარაღის გამოყენება დაიწყეს, რითაც ისრაელის ახალშენებსა და თვით ქვეყანაში შეღწევა სირთულეს აღარ წარმოადგენდა. მთლიანობაში 2003 წლის ცეცხლის შეწყვეტამდე მათ დაახლოებით 1500 ჭურვისა და 150 „ქასამის“ ტიპის რაკეტის გამოყენება

[70] ხ. ჰერცოგი, (2007). ისარელ-არაბების ომები, თბილისი, გვ. 19-27

მოასწრეს. თუმცა, უნდა ითქვა ს, რომ მათ მიერ განხორციელებული ქმედებების მტავარი ეფექტი ფსიქოლოგიური ხასიათისა უფრო იყო- ამ იარაღით მხოლოდ ერთი ებრაელი ჯარისკაცი დაიღუპა.

ტერორიზმის მხარდაჭერაში წამყვან როლს ირანი ასრულებდა. მისი მონაწილეობა ტერორისტულ საქმინაობაშ ლოჯისტიკურ, ფინანსურ, წვრთნისა და სხვა სფეროებში დახმარებას გულისხმობდა. ისლამურ „ჯიჰადსაც“ , 1994 წლის შემდეგ თითქმის მთლიანად ირანი აკონტროლებდა. „ჰამასი“ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, თუმცა „დიდსულოვან დახმარებაზე უარს არ ამბობდა. ტერორისტულ საქმიანობაში ირანის კიდევ ერთ ასპექტს ისრაელის არაბთა გადაბირება წარმოადგენდა, რაშიც ლიბანური „ჰესბოლაც“ იღებდა მონაწილეობას.

2000 წლის 29 იანვარს, ინტიფადას დაწყებიდან 2003 წლის 4 ივნისს ისრაელ-პალესტინელთა შორის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებამდე, 820 ებრაელი დაიღუპა, დაახლოებით 4780 კი დაიჭრა. მათი უმეტესობა მშვიდობიანი მოქალაქე იყო. პალესტინელებმა, მთლიანობაში, 18 000-ზე მეტი თავდასხმა განახორციელეს. აქედან კამიკაძე-ტერორისტებმა მხოლოდ 6% (115) მოაწვეს, მაგრამ მსხვერპლის მთლიანი მოცულობის 47% (381) და დაჭრილთა და დაშავებულთა სრული რაოდენობის 56% (2677) სწორედ ამ აფეთქებებზე მოდის. იმავე პერიოდის განმავლობაში პალესტინელთა მსხვერპლმა 2300-ს მიაღწია, დაჭრილების რაოდენობა კი 14 000 -ს მიუახლოვდა.

ისრაელ-პალესტინური კონფლიქტი , რომელიც მეორე ანუ ელ-აქსას ინტიფადას სახელითაა ცნობილი , ორ ნაწილად იყოფა. პირველმა ეტაპმა 18 თვეს გასტანა - 2000 წლის 29 სექტემბრიდან 2002 წლის 27 მარტამდე. ამ პერიოდს პალესტინელებისათვის დღითი დღე სულ უფრო მეტი წარმატება მოჰქონდა. სისხლიანი დაპირისპირების მეორე ეტაპი 14 თვეს გრძელდებოდა- 2003 წლის 4 ივნისის ცეცხლის შეწყვეტამდე.

ისრაელისა და პალესტინელების ტერიტორიული კონფლიქტის მოწესრიგების კიდევ ერთ ცდას წარმოადგენდა ე.წ. „კვარტეტის“ (აშშ, ევროკავშირი, რუსეთი და გაერო) მიერ შემუშავებული გეგმა, რომელსაც „საგზაო რუკა“ ეწოდა. ეს გეგმა

ოფიციალურად 2003 წლის 29 აპრილს იქნა წარდგენილი. ის გულისხმობდა 2005 წლამდე პალესტინის არაბული სახელმწიფოს შექმნას, ზოგიერთი წინასწარი პირობის დაცვით. ამ პირობების არსი მოკლედ ასეთი იყო: პალესტინის მხარეს მოეთხოვებოდა ტერორიზმის აღმფხვრა , თავისუფალი აღჩევნებისა და პოლიტიკური რეფორმების შექმნა; ისრაელის მხარეს კი -სამხედრო ნაწილების გაყვანა პალესტინური ტერიტორიებიდან , ჯერ უკანონოდ დაარსებული ფორპოსტების მოხსნა, მერე კი საახალშენო საქმიანობის შეწყვეტა . პალესტინის საბოლოო საზღვრები საერთაშორისო კონფერენციას უნდა დაედგინა.

აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის მთავრობებს ძალიან დიდი სურვილი ჰქონდათ, რათა ეს გეგმა განხორციელებულიყო. ამით მათ უნდოდათ ეჩვენებინათ თავიანთი მიუკერძოებლობა არაბული სამყაროსათვის. პალესტინის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ შენიშვნების გარეშე მიიღებს „საგზაო რუკას“ , მაგრამ რადიკალურმა პალესტინურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ისრაელის არსებობის უფლებასაც კი არ ცნობენ, უპირველესად, პარტია ჰამას-მა, ეს გეგმა უარყვეს, და ჩათვალეს, როგორც დათმობა ისრაელისათვის.[71]

3.4. აშშ და პალესტინასა და ისრაელს შორის კონფლიქტის მოგვარების შემდგომი გაღრმავება.

1949 წლის 11 მაისს ისრაელი გაეროს წევრი გახდა და მის საზღვრად სწორედ 1949 წლის დაზავების ე.წ. „მწვანე ხაზი“ იქნა მიჩნეული. 1967 წლამდე ეს ხაზი ასრულებდა სახელმწიფო საზღვრის როლს იორდანიასთან.

1950 წლის 23 იანვარს ისრაელის მთავრობა თელ-ავივიდან დასვლეთ იერუსალიმში გადავიდა, რომელიც ქვეყნის დედაქალაქად გამოაცხადა. საკმაოდ ბევრმა ქვეყანამ ცნო ეს, ხოლო ოცზე მეტმა სახელმწიფომ , მათ შორის საბჭოთა კავშირმა, საელჩოც კი გახსნა დასვლეთ იერუსალიმში.

1967 წელს კი იერუსალიმმა დაიპრო მანამდე იორდანიის იურისდიქციის ქვეშ მყოფი აღმოსავლეთი იერუსალიმი.

„ექვსდღიანია ომის“ დამთავრებისთანავე 1967 წელს, ისრაელის ქნესეთის დადგენილებიტ იერუსალიმის საზღვრები აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით

[71] ხ. ჰერცოგი, (2007). ისარელ-არაბების ომები, თბილისი, გვ. 10-31

70,2 კვადრატული კილომეტრით გადართოვდა. ამ ფართობზე ისრელის ხელთ არსებულ დასავლეთ იერუსალიმიდან (37, 3კვ.კმ) ერთად შეიქმნა „გაერთიანებული იერუსალიმი.

1980 წლის 30 ივლისს ისრაელის ქნესეთმა გაერთიანებული იერუსალიმი გამოაცხადა თავის დედაქალაქად. [72]

ამავე დროს, რადგან გაეროს უშიშროების საბჭოს ადგილზე მიღებული რეზოლუციები აღმოსავლეთ იერუსალიმის ოკუპირებულ ტერიტორებად მიიჩნევდა, 1980 წლის 20 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭომ 15 -დან 14 ხმით (ამერიკამ თავის შეიკავა) მიიღო რეზოლუცია 478, რომელიც გმობდა ისრაელის ქნესეთის აქტს, როგორც საერთაშორისო სამართლის წესების დარღვევას და „ ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის“ ჟენევის 1949 წლის კონვენციის საწინააღმდეგო ქმედებას.

გაეროს უშიშროების საბჭომ მოსთხოვა გაეროს წევრ-სახელმწიფოებს დასავლეთ იერუსალიმში მდებარე საელჩოები ისრაელის სხვა ქალაქებშ გადაეტანათ.

ამიტომაცაა უცხოეთის ქვეყნების საელჩოები თელ-ავივსა და მისი აგლომერაციის ქალაქებში (რამათ-განი, ჰერცლია, იაფო) .

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 478 ჯერაც ძალაშია. საერთაშორისო სამართლის თანახმად, აღმოსავლეთ იერუსალიმი დღემდე მიჩნეულია „ ოკუპირებულ ტერიტორიად“ . მსოფლიო ოფიციალურად არ ცნობს გაერთიანებულ იერუსალიმს ისრაელის დედაქალაქად.

1995 წლის 24 ოქტომბერს აშშ კონგრესმა დაავალა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ადმინისტრაციას 1999 წლის მაისამდე ამერიკის საელჩოს გადატანა იერუსალიმში . ამ ნაჩქარევი გადაწყვეტილების საბაბი იყო იმ დროს თითქოს სწრაფად მიმდინარე სამშვიდობო პროცესი : 1998 წლისათვის ელოდებოდნენ პალესტინის სახელმწიფოს შექმნას. რელობა უფრო მძიმე გამოდა: მალე დაიწყ პალესტინელტა აჯანყება- „მეორე ინტიფადა“. სამშვიდობო პროცესი ჩაიშალა.

[72] გაჩეჩილაძე, რ. ახლო აღმოსავლეთი-გეოპოლიტიკა. თბილისი 2019წ. გვ. 1-2

ამერიკის კონსტიტუციის თანახმად ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე პასუხისმგებელია პრეზიდენტი, რომელიც ვალდებულია, გაითვალისწინოს ის გართულება, რაც მოჰყვება აშშ-ის დიპლომატიისათვის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის უგულვებელყოფას და იერუსალიმის საელჩოს გადატანას. ამერიკის ყველა პრეზიდენტი ბილ კლინტონიდან მოყოლებული ყოველ ექვს თვეში დროებითი ვეტოს გზით , გადაავადებდა ხოლმე 1995 წლის კანონის ამოქმედებას. [73]

2018 წლის 14 მაისს , ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადების 70 წლისთავზე, ამერიკის საელჩოს ნაწილი სიმბოლურად გადავიდა იერუსალიმში, დროებით - ამერიკის საკონსულოს შენობაში. შემდგომში იგმება საელჩოსათვის სპეციალური შენობის აგება, როგორც ჩანს , დასავლეთ იერუსალიმში. ამ აქტით ამერიკამ არაპირდაპირ აღიარა გაერთიანებული იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად.[74]

ისრაელის ხელისუფლებამ აშშ-ის საელჩოს დიდხანს ნანატრი გადასვლა იერუსალიმში ზარზეიმით აღნიშნა. პალესტინელებში კი ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. იმავე დღეებში ღაზის პალესტინელტა დემონსტრაციას , რომელიც ქვების სროლაში გადაიზარდა, ისრაელის არმიამ ცეცხლი გაუხსნა და დახოცა 52 ადამიანი. ეს დემონსტრაცია მხოლოდ საელჩოს გადატანას როდის უკავშირდებოდა, პალესტინელი არაბები აღნიშნავდნენ „ ნაკბას“- 1948 წლის კატასტროფას. [75]

ამერიკის საელჩს იერუსალიმში გადატანა ყველაზე ხმამაღლა დაგმეს თურქეთმა და სხვა ისლამურმა სახელმწიფოებმა. მაგრამ მწვავე განცხადებების გარდა სხვა არაფრის გაკეთება ძალუძთ. ტრამპის გადაწყვეტილებაზე არც ევროკავშირის კრიტიკამ მოახდინა რაიმე გავლენა და ვაშინგტონის ადმინისტრაციას დიპლომატიური გართულება, შეიძლება ითქვას, არ უგრძვნია.

---

[73] გაჩეჩილაძე, რ. ახლო აღმოსავლეთი-გეოპოლიტიკა. თბილისი 2019წ. გვ. 40

[74] Actors in the Israeli-Palestinian Conflic , p. 1 https://www.swp-berlin.org/en/publication/actors-in-the-israeli-palestinian-conflict/

[75] ისრელი-პალესტინის დაუსრულებელი კონფლიქტი - დასაწყისიდან დღემდე. https://expressnews.com.ge/?id=56988 , გვ.1

აშშ-ის მაგალითს თითქმის არავინ აჰყვა : 2018 წლის განმავლობაში იერუსალიმში საელჩო მხოლოდ გვატემალამ გადაიტანა. პარაგვაიმ ჯერ იგივე დააპირა , მაგრამ მალე ასუნსიონში მთავრობა შეიცვალა , რომელმაც ეს დაპირისპირება გადათქვა.

2017 წლის ბოლოს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ბათილად გამოაცხადა ამერიკის გადაწყვეტილება ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის ცნობის შესახებ, თუმცა ეს გადაწყვეტილება ვალდებულების ძალის არმქონეა (non-binding). [76]

მიმდინარე წლის ზაფხულის ბოლოს ისრაელის მთავრობა გამართავს არჩევნებს, რადგან პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ვერ შეძლო კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება 9 აპრილის არჩევნების დროს პარტიების მეშვეობით. [77]

[76] გაჩეჩილაძე, რ. ახლო აღმოსავლეთი-გეოპოლიტიკა. თბილისი 2019წ. გვ. 110-123

[77] Israel will hold new elections after Netanyahu fails to build coalition, 2019. P. 1 https://edition.cnn.com/2019/05/29/middleeast/israel-elections-netanyahu-coalition-fails/index.html

დასკვნა

ისრაელისა და პალესტინის **კონფლიქტის არსი** ატარებს ეთნო-ტერიტორიულ ხასიათს. დღევანდელი ისრაელისა და პალესტინის ტერიტორიაზე ძვ.წ.-ის პირველ ათასწლეულში ებრაული სახელმწიფოები არსებობდა. მათი ამ ტერიტორიიდან განდევნა მოხდა ახ.წ. 70 წელს. ხოლო 638 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ არაბებმა ებრაელებს მისცეს უფლება, რომ დაბრუნებულიყვნენ ქალაქში, სადაც მათ რომაელები 5 საუკუნის განმავლობაშ არ უშვებდნენ.

პალესტინასა და ისრაელს შორის კონფლიქტი ბოლო პერიოდში საკმაოდ გაღრმავდა. გარდა ამისა ის გასცდა რეგიონის ფარგლებს, ამის უმთავრესი მიზეზი, ისევ ამერიკის შეერთებული შტატების, ამჟამინდელი ადმინისტრაციის მიერ გადადგმული არასწორი ნაბიჯი იყო. ეს ნაბიჯი გამოიხატა იმაში,რომ ამერიკის შეერთებული შტატების ამჟამინდელმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, იერუსალიმი აღიარია ისრაელის დედაქალაქად, გამოთქვა იქ საელჩს გადატანის აუცილებლობა და ამისკენ მოუწოდა დანარჩენ ქვეყნებსაც. რეგიონში გარე ძალების ჩარევამ, სიტუაციის უფრო მეტად დაძაბვა გამოიწვია. ამ კონფლიქტში ,რომელიც საკუთრივ მხოლოდ პალესტინელ არაბებსა და ისრაელს შორის არ მიმდინარეობდა , მასში წინა პერიოდშივე ჩართული იყო ზოგადად არაბული სამყარო. ტრამპის აღნიშნული გადაწყვეტილების შემდგომ კონფლიქტმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო და მან სრულიად ისლამური სამყარო გააღიზიანა და ამ გადაწყვეტილებას უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. ტრამპის

ბოლოდროინდელმა გადაწყვეტილებამ ამ ეტაპზე პალესტინა ისრაელის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა გარკვეული დროით გადაავადა.

21_ე საუკუნის დასაწყისში, კვლავ გაგრძელდა სამშვიდობო მოლაპარაკებების შედეგად პალესტინასა და ისრაელს შორის არსებული დავის გადაჭრა. ამ პროცესიის ინიციატორი ისევ ამერიკის შეერთებული შტატები იყო. მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებთან ერთად დაისახა კიდეც სერიოზული გეგმები, შეიქმნა ე.წ. „საგზაო რუკა“,რომლის თანახმადაც უნდა მომხდარიყო ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა, მაგრამ ისევე როგორც წინა მოლაპარაკებებს, აღნიშნულ სამშვიდობო შეთანხმებებსაც სამწუხაროდ შედეგი არ მოჰყოლია

ებრაელებსა და არაბებს შორის კონფლიქტი სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. მე 20 საუკუნის 90 -იანი წლების დასაწყისიდან, უფრო ადრეც, დაიწყო მცდელობები პალესტინასა და ისრაელს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარებისა. ამ კონფლიქტის მოგვარების ინიციატორად გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატები. სწორედ მისი მეოხებითა და მცდელობით არაერთი მოლაპარაკება გაიმართა პალესტინელებსა და ებრაელებს შორის. თითქოს დაისახა კიდეც ამ პრობლემის გადაწყვეტის გზები, მაგრამ აღნიშნულ მოლაპარაკებებს საბოლოო ჯაბში შედეგი არ მოჰყოლია. ამ მოლაპარაკებების უშედეგობა იმით იყო გმაოწვეული, რომ ორივე მთგანი პალესტინის ტერიტორიას თავისად აღიქვამდა და არცერთს არ გამოუთქვამს მზაობა იმისათვის რომ პრობლემა მოგვარებულიყო.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ბრიტანეთისათვის პალესტინის სამანდატოდ გადაცემა მოხდა, ამ პერიოდიდან იწყება ებრაელი მოსახლეობის ჩასახლების ტემპის ზრდა პალესტინის ტერიტორიაზე. მერე მსოფლიო ომის შემდეგ უკვე ინგლისს აღარ ჰქონდა სურვილი პალესტინაზე თავისი მანდატი განეხორციელებინა. მალე დადგა საჭიროება ამ პრობლემის მოგვარებისა , შეიქმნა კომისია ბრიტანეთის ხელმძღვანელობით,რომელსაც უნდა გაეყო პალესტინა იქ მცხოვრებ ებრაელებსა და არაბ მოსახლეობას შორის მისი გეგმები მიუღებელი აღმოჩნდა განსაკუთრებით ებრაელი მოსახლეობისათვის. მას შემდეგ რაც

ბრიტანეთის მანდატი დასრულდა პალესტინაზე , გაერომ შემქნა კომისია რომელმაც შეიმუშავა პალესტინის გაყოფის ე.წ. „გაეროს გეგმა“ და ზუსტად ამ გეგმით იქნა გაყოფილი პალესტინა. პალესტინის ფაქტობრივ გაყოფას მოყვა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა. ისრაელის სახემწიფოს შექმნისთანავე დაიწყო ბრძოლები, სამხედრო დაპირისპირებები არაბებსა და ებრაელებს შორის. არაბები არ ცნობდნენ ისრაელის სახელმწიფოს არსებობას და მთლიან პალესტინას, პალესტინის არაბულ სახელმწიფოდ მოიხსენიებდნენ. რაც შეეხება ისრელს, ისრაელსაც პალესტინა მთლიანად თავის ტერიტორიად ჰქონდა წარმოდგენილი. ღნიშნული ომების პერიოდში, მნიშვნელოვნად შემცირდა სამანდატო პალესტინაში ის ტერიტორია, რომელზედაც ისრაელის სახელმწიფოს გვერდით უნდა შექმნილიყო პალესტინის არაბული სახელმწიფო.

ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტი არის განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების, ებრაელებისა და პალესტინელი არაბების დაპირისპირება ერთი და იგივე ტერიტორიის - სამანდატო პალესტინის ფლობის საკითხზე. ამრიგად, ეს **ჰიპოთეზა** სრულიად დასტურდება აღნიშნულ ნაშრომში, სადაც ნათლად არის წარმოჩენილი, თუ რომელი კონკრეტული ტერიტორიის გამო და რომელ ეთნიკურ ჯგუფებს შორის დაპირისპირება არის ეს კონფლიქტი. როგორც უკვე აღინიშნა, ეს კონფლიქტი აპრიორულად ეთნო-ტერიტორიული ხასიათის არის და ებრაელები და პალესტინელი არაბები უკვე დიდი ხანია ცდილობენ ხმამაღლა განაცხადონ პრეტენზია სამანდატო პალესტინის ფლობაზე.

კვლევის დროს გამოყენებული შემდეგი **მეთოდები** - პოლიტიკის კვლევის ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, ისტორიულ-აღწერილობითი, თვისობრივი კვლევის მეთოდები - ძალიან დაგვეხმარა , რათა ამ ნაშრომში მაქსიმალურად სრულად წარმოჩენილიყო კონფლიქტის არსი, მისი განვითარება და მისი მოგვარების შესაძლო პერსპექტივები.

აღნიშნული ნაშრომის შექმნაში დაგვეხმარა **„უსაფრთხოების დილემა“, „ნეორეალიზმისა და პოლიტიკური რეალიზმის“** სკოლის თეორიები , რამაც საშუალება მოგვცა კარგად გაგვეანალიზებინა მიმდინარე კონფლიქტი.

კონფლიქტის მოგვარების ძირითად ამოსავალ წერტილად ისევ ორი სახელმწიფოს შექმნის იდეა რჩება, რომლის მიღწევაც ამ ორ დაპირისპირებულ მხარეს ნამდვილად შეუძლია, თუმცა გამომდინარე იქედან, რომ გარე ძალები ართულებენ ამ პრობლემის მოგვარებას, შესაძლოა, ამ კონფლიქტმა უფრო ფართო მასშტაბებიც მიიღოს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

დღევანდელი პალესტინის ტერიტორიაზე ებრაული სახელწმიფოების დამხობისა და იქიდან მოსახლეობის განდევნის შემდგომ, ებრაელი ხალხი არასოდეს კარგავდა „სიონში“ დაბრუნების სურვილს ანუ კვლავ ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის იმედს. ეს სურვილი უფრო მეტად გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მე-19 საუკუნის დასასრულს შეიქმნა მოძრაობა „სიონიზმი“. ამ მოძრაობამ საფუძველი ჩაუყარა და კარგი ნიადაგი მოუმზადა მე-20 საუკუნის 40-იანი წლების დასასრულს ისრაელის სახელმწიფოს კვლავ ჩამოყალიბებას. აღსანიშნავია,რომ პალესტინის ტერიტორიიდან ებრაული მოსახელობის განდევნის შემდგომ,არაბი ხალხი დასახლდა. ისინი საუკუნეებია, რაც არნიშნულ ტერიტორიაზე სახლობენ. ბუნებრივია, როდესაც ისრაელის სახელმწიფოს შემქნის იდეა ხორცს ისხამდა, არაბი მოსახლეობაც თავის მხრივ პრეტენზიას აცხადებდა ამ ტერიტორიის ფლობაზე, სწორედ ეს ტერიტორიული ფაქტორი გახდა ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე არაბ და ებრაელ ხალხს შორის დაპირისპირების უმთავრესი მიზეზი.

გამოყენებული ლიერატურა

1. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი (ხალხი, სივრცე და პოლიტიკა). თბილისი, 2008.
2. სანიკიძე გ, ალასანია გ, გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.- XXI ს.-ის დასაწყისი). თბილისი, 2011.
3. ჯაფარიძე თ. სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში (ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-1999 წლებში), ქართული დიპლომატია. წელიწდეული, XII, თბ., 2005, გვ. 337-356, 523.
4. ხონელიძე, ნოდარ. ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაცია - 1948 წლის 14 მაისი (დოკუმენტის შექმნის ისტორიისათვის). კრ-ში ვალერიან გაბაშვილი - 90. თბილისი, 2003.
5. ჰერცოგი, ხაიმ. ისრაელ-არაბების ომები, თარგმანი ლელა ფიროსმანაშვილისა და ქეთი ქანთარიასი. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2007.
6. Betrayal of Palestine: The Story of George Antonius. Susan Silsby Boyle Boulder, Col. Westview Press 2001
7. Chertolf, MJOrdechai S. Zionism: a Basic Reader, New York: Herzl Press, 1975.
8. Chomsky, N. Fateful Triangle. The United States, Israel and the Palestins (updated edition). London: Pluto Press. 1999.
9. Evron, Boas, Jewish State or Israeli Nation? Bloominghton and Indianapolis: Indiana University Press, 1995.
10. Fromkin, David. 1989. A Peace to End All Peace: The Fall of the Ottoman Empire and the Creation of the Modern Middle East. 1st American Ed. New York: Henry Holt and Co.

11. Hertzberg, Arthur (ed.), The Zionist Idea; A Historical Analysis and Reader, Oxford: Osprey, 2002.
12. Khalidi, Rashid. Palestinian Identify: The Construction of Modern National Consclousness. New York: Columbia University Press, 1997.
13. Kumaraswamy, P.R. The A to Z of the Arab-Israeli Conflict. The Scarecrow Press, Inc., 2009.
14. Laqueur. Walter and Rubin, Barry (eds.), The Israeli-Arab Reader: A Documentary History of the Middle East Conflict, New York: Penguin Books, 1995.
15. Lockman Zachary. Intifada: the Palestinian Upresing against Israeli Occupation, Boston, MA: South End Press, 1989.
16. Quandt, William B. Peace Process: American Diplomacy and the Arab-Israeli Conflict since 1967. Berkeley and Los Angeles: University of California press, 2005.
17. Rabinovich, Itamar. Waging peace: Israel and the Arabs, 1948-2003. Princeton and Oxford: Princeton University Press, 2004.
18. Schulze, Kirsten. Israeli Crisis Decision-Making in the Lebanon War. Group Madness or Individual Ambitions Israel studies Vol. 3, 1998, pp. 215-230.
19. Shlaim, Avi. The Iron Wall. Israel and Arab World. New York, London: W.W. Norton and Co., 2000.
20. Tessler, Mark. A History of the Israeli-Palestinian Conflict. Bloomington: Indiana University Press, 1994.

ინტერნეტ რესურსები

1. Israel will hold new elections after Netanyahu fails to build coalition, 2019. P. 1 https://edition.cnn.com/2019/05/29/middleeast/israel-elections-netanyahu-coalition-fails/index.html (ბოლოს ნანახია 04.06.2019).
2. ისრელი-პალესტინის დაუსრულებელი კონფლიქტი - დასაწყისიდან დღემდე. https://expressnews.com.ge/?id=56988 (ბოლოს ნანახია 02.06.2019).
3. Actors in the Israeli-Palestinian Conflic , p. 1 https://www.swp-berlin.org/en/publication/actors-in-the-israeli-palestinian-conflict/(ბოლოს ნანახია 19.06.2019).